პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

დ ღ ი უ რ ი

ინგლისის მოქალაქენი სტოვებენ ავღანისტანს. [illegible] ცნობები, ინგლისელებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედება.

მექსიკაში მთავრობის ჯარებმა დაამარცხეს [illegible].

ვენიზელოსი ბრუნდება საბერძნეთში.

საფრანგეთის მომავალ არჩევნების დროს მემარცხენე ბლოკი თავის სიას წამოაყენებს.

ისპანიაში დაატუსაღეს კომუნისტური ორგანიზაცია (მადრიდში)

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შვეციაში ამხ. ოსინსკი მოსკოვში დაბრუნდა

№ 298 პარასკევი, 28 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 298

29 დეკემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე

სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიხსნება

ტფილისის მუშათაგლეხთა და წითელ-არმიელთა

მე-4-ე მოწვევის დეპუტატთა საბჭოს სხდომა,

ფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოხსენება.
2) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
3) მოხსენება მე-3-მე მოწვევის საბჭოს მუშაობის შესახებ.
4) არჩევნები.

ცენტრალური საარჩევნო კომისია. კრ. 808 2-1

---

29 დეკემბერს, სრულ დღის 4 საათზე

სახელმწიფო ოპერის თეატრში დანიშნულია

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა

მე-4-ე მოწვევის დეპუტატთა საბჭოს კომფრაქციის

სხდომა

ვინაიდან გასარჩევია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები აღნიშნულ დროზე, მე-4-ე მოწვევის საბჭოს ყველა წევრ-კომუნისტების გამოცხადება სავალდებულოა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია. კრ. 809 2—1

ტფილისის საბჭოს საარჩევნო კომისია

უწყება, რომ 28 დეკემბერს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ტფილისის საბჭოში არჩეული ყველა დეპუტატები უნდა გამოცხადდენ ს. კ. პ. ტფ. ორგ. ქალაქის რაიკომში, მანდატების მისაღებად.

ქალაქის რაიკომის საარჩევნო კომისია.

---

28 დეკემბრის ერთიან პარტიულ დღისათვის

საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის ყველა უჯრედებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

„პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“ გამართულ დისკუსიის დროს ზოგიერთმა პარტიულმა ამხანაგმა აღნიშნა, რომ ჩვენს ორგანიზაციაში საკმაოთ არ არის განხორციელებული არჩევნების პრინციპი.

ყურს უგდებს რა დისკუსიის ყოველ ხმას, ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს გადასინჯონ საუჯრედო ბიუროების და მდივნების შემადგენლობა და, თუ უჯრედები საჭიროთ სცნობენ, ხელახლა აირჩიონ ისინი თანახმად მიღებულ დადგენილებებს შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიის განხორციელების შესახებ.

მდივანთა და ბიუროების შემადგენლობის გენერალური გადასინჯვა ტფ. კომიტეტი ურჩევს უჯრედებს მოახდინონ მორიგე ერთიან პარტიულ დღეებს.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

საქართველოს სატყეო კოდექსი

ერთი უმთავრესი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა არის ტყე, რომელიც უაღრესად საჭიროებს სახელმწიფოს მზრუნველობა-მფარველობას, მით უმეტეს, რომ ის დღეს მშრომელთა სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენს. ტყეებზე კერძო საკუთრების მოსპობა საუკეთესო საშუალებაა ტყეების დასაცავათ და მათი გეგმაშეწონილი სარგებლობისთვის. ტყეებს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის მომავლისათვის, მათ არსებობაზე დიდათ დამოკიდებულია ნიადაგი და კლიმატიური პირობები.

შეუძლებელი იყო ტყეების დაცვა და მათი რაციონალური ექსპლოატაციის მოწყობა იმ დროს, როდესაც ტყეების საკმაო დიდი ნაწილი კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო, რომლებიც ტყით ისე სარგებლობდნენ, როგორც მათი ჯიბე მოითხოვდა და სრულებით ანგარიშს არ უწევდენ საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

მაგრამ დღეს, როდესაც მშრომელთა ხელისუფლებაა განმტკიცებული და ტყეები მიწასთან ერთად სახელმწიფოს მფლობელობაშია, აუცილებლად საჭიროა ტყეების განადგურების და მათ უთავბოლო გაჩეხვას საზღვარი დაედოს. ტყის მოხმარება და სწარმოებდეს ტყის აღმოცენება-გაზრდასთან შეფარდებით და ტყის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით. საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის სატყეო კოდექსის პროექტი, რომელიც ჩვენი გაზეთის 297 ნომერში იყო დაბეჭდილი, ყველა ამ მოსაზრებებს უწევს ანგარიშს და იძლევა ტყით სარგებლობისა და მის სახელმწიფოებრივ დაცვის სრულ [illegible] საბჭოთა ხელისუფლების [illegible].

ამ კოდექსის თანახმად სატყეო ფონდი დაყოფილია საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის და ადგილობრივ ტყეებად; ამის მიხედვით [illegible] მათი სარგებლობის და დაცვის წესები. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებიდან, რომლებიც გადაეცემა მოსარგებლეებს, გამოყოფილია ისეთი ტყეები, რომლებიც იკავებენ ფხვიერ-სილიან ადგილებს, მდინარეების ნაპირებს, მთის ფერდობებს და სხვა. ასეთი ტყეები სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილების მიზნით გაჩეხვისაგან დაცულ იქნებიან. საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ტყეებიც თავის მხრივ იყოფიან საკუთრივ სახელმწიფო ტყეებათ და განსაკუთრებული დანიშნულების ტყეებათ, რომლებსაც ეკუთვნიან დაცვითი ხასიათის ტყეები, სამეცნიერო საცდელსა ტყის აგარაკები სამთომადნო, საქალაქო და საკონცესიო გაცემული ტყეები.

ახალი კოდექსით დაშვებულია ღარიბებისთვის ტყის მცირე ფასებში და უფასოდ გაცემა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სტიქიური უბედურება, ახალ ადგილებზე დასახლება, რომელიმე ადგილობრივი საზოგადოებრივი დაწესებულებებისთვის შენობის აგება და სხვა ასეთ შემთხვევებში მიწათმოქმედების კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად მოსარგებლეებს ტყე მიეცემათ ადგილობრივ აღმასკომების მოწმობების წარდგენის შემდეგ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი მოწმობების გაცემა იწარმოებს ნამდვილი საჭიროების მიხედვით. კოდექსში აღნიშნულია აგრეთვე ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესები, რომელთა უცვლელად შესრულებას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სატყეო მეურნეობისათვის.

სატყეო კოდექსის გამოქვეყნება და მშრომელთა ფართო წრეებისთვის მისი გაცნობა დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენი ტყეების განადგურებისაგან დაცვას. წარსულში, საერთაშორისო და სამოქალაქო ომის დროს, კანონმდებლობის მოუწესრიგებლობის და ხელისუფლების საკმაო გაუმტკიცებლობის გამო, ჩვენს ტყეებს დიდი ზიანი ჰქონდა მიყენებული. აწი მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტყეების რაციონალურ ექსპლოატაცია ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. თუმცა დღესაც დიდი მოთხოვნილებაა სატყეო მასალაზე როგორც სახელმწიფო დაწესებულების, ისე კერძო მომხმარებელთა მხრივ, მაგრამ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა სწარმოებდეს სატყეო მეურნეობისთვის ზიანის მიუყენებლად. სატყეო კოდექსიც, რომელიც დაკანონდება სათანადო განხილვის შემდეგ, დიდად შეუწყობს ხელს ამ მიზანს. კოდექსის საერთო შინაარსი და მისი ცალკე მუხლები სრულებით შეფარდებულია საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებთან სატყეო მეურნეობაში. მის გამოქვეყნებას ყოველი შეგნებული მოქალაქე სიხარულით უნდა შეხვდეს და ენერგიულად ხელი შეუწყოს მის ცხოვრებაში გატარებას.

შინაპარტიული დემოკრატია პრაქტიკაზე

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ცირკულიარს, რომელიც წინადადებას აძლევს ტფილისის ორგანიზაციის ყველა იაჩეიკებს შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე გადასინჯონ თავიანთი მდივნების და იაჩეიკების ბიუროების შემადგენლობა.

ტფილისის კომიტეტის ეს გადაწყვეტილება ამტკიცებს, რომ ლაპარაკის ნაცვლად დროა პრაქტიკაში განვახორციელოთ ის ამოცანები, რომლებიც წამოყენებულია წარმოებულ დისკუსიების გამო.

ამავე დროს ცეკა წინადადებას აძლევს სერიოზულად და საქმიანად გაკრიტიკებული იქნან ჩვენი რაიკომების და ტფილისის კომიტეტის აპარატები. როგორც ყველა სხვა ორგანიზაციებს, ჩვენ პარტიულ აპარატსაც ესაჭიროება გაუმჯობესება და გამოსწორება.

ჩვენ გაულდასმით ვადევნებთ თვალყურს ტფილისში წარმოებულ დისკუსიას. ზოგიერთი ამხანაგები მეტად ტრაფარეტულად ლანძღავდენ და აკრიტიკებდენ პარტიულ აპარატს, მაგრამ არავის არ მიუთითებია კონკრეტიულად ჩვენი აპარატის უარყოფით მხარეებზე; ნაკლულევანებანი ბევრია. და ყველა დეფექტების გამოაშკარავება უნდა იკისროს ფართო პარტიულმა მასამ, რომელსაც პრაქტიკულად ყოველდღიურად საქმე აქვს მასთან. ყველა იაჩეიკებმა უნდა განიხილონ ეს საკითხი და გამოიტანონ კონკრეტიული გადაწყვეტილებანი, რომლების მიხედვითაც ჩვენი ორგანიზაცია შესძლებდა მომავალ მუშაობაში თავის პარტიულ აპარატის გაუმჯობესებას. უნდა გამოირკვეს: არის თუ არა ჩვენ აპარატში ბიუროკრატიზმის, უმიზნო მიწერ-მოწერის ელემენტები, ჩამოშორებულია თუ არა ეს აპარატი ფართო პარტიულ მასებს, სათანადო ანგარიშს უწევს თუ არა ის თავის დროზე პარტიულ მასის მოთხოვნილებებს, საკმარისია თუ არა ხელმძღვანელობა და სხვა.

მდივნების და იაჩეიკების ბიუროების გენერალური გადასინჯვა გადასჭრის ეგრედწოდებულ „აპარატჩიკების“ საკითხს. ზოგიერთ ამხანაგებისათვის ეს სიტყვა უკანასკნელ ხანებში სალანძღავ სიტყვათ გადაიქცა. მაგრამ ჩვენმა ტფილისის ორგანიზაციამ მოახერხა ე. წ. ოპოზიციის ამოცანის სწრაფად გადაჭრა და უჩვენა მას შესაფერისი ადგილი, ყველა დეზორგანიზატორები, რომლებიც „პარტიის ახალი ამოცანების“ ნიშნის ქვეშ სცდილობდენ გაეთრიათ თავიანთი ფრაქციული ხაზაგი, სასტიკად იქნენ დაგმობილი ჩვენი ორგანიზაციის მიერ, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს გარანტია იმისა, რომ ჩვენი პარტიული აპარატის ყველა მუშაკები შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას. შესაძლოა არიან გაბიუროკრატებულებიც. საკითხი უნდა იქნას განხილული ობიექტიურად, საქმიანად, და გაიწმინდოს პარტიული აპარატი უვარგის ელემენტებისაგან. ჯერ კიდევ ორი დღის წინად 4-ე რაიკომმა დაადგინა გამორიცხოს თავის შემადგენლობიდან რაიკომის ერთი-ერთი წევრი, რომელმაც ერთ-ერთ იაჩეიკაში სახელი გაიტეხა, როგორც რაიონულ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა. ეს გადაწყვეტილება განხილული იქნება რაიონის ფართო პარტიულ მასის მიერ და იგი გამოიტანს თავის მსჯავრს.

ტფილისში დისკუსიის დაწყებამდე ჩატარდენ სარაიონო კონფერენციები. მაგრამ სასარგებლო იქნებოდა გვერჩია სარაიონო ორგანიზაციებისათვის დისკუსიის შემდეგ გადასინჯონ ჩვენი რაიონების შემადგენლობაც. ასეთი პროექტია შეტანილი პარტიის ტფილისის კომიტეტში და, უეჭველია, უკანასკნელი მიიღებს ამ პროექტს, ვინაიდან რაიონის ხელმძღვანელ ორგანოების ასეთი გადასინჯვა სასარგებლო იქნებოდა მომავალ მუშაობისათვის.

როგორი დეფექტებია, ჩემის აზრით, ჩვენ პარტიულ აპარატში? შევჩერდები ამ ჟამად, მხოლოდ ზოგიერთ დეფექტებზე:

1) პირველ ყოვლისა სუსტი ინფორმაცია. ჩვენი პარტიული მასსა ძალიან ხშირად არ იცნობს რაიკომების და ტეკას მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და, პირიქით, ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები ყოველთვის არ იმყოფებიან იაჩეიკების მუშაობის, მათი ნაკლულევანებათა და დეფექტების კურსში. საჭიროა გაძლიერებული იქნას ცოცხალი ინფორმაცია, განსაკუთრებით რაიკომებთან ტფილისის მაზრაში.

2) ჩვენი პარტიული აპარატი არა ყოველთვის თავის დროზე აყენებს პარტიულ მასის წინაშე პარტიის გადაუდებელ და საჭირბოროტო საკითხებს. და აგრეთვე თავის დროზე არ უწევს ანგარიშს იმ საკითხებს, რომლებსაც თვით პარტიული მასა აყენებს.

(მაგალითი: „მაკრატლის“ საკითხი ჩვენში დაგვიანდა, თუმცა ზოგიერთი იაჩეიკები არა ერთხელ იჩენდენ ინიციატივას ამ საკითხის დაყენებაში).

3) ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები ყოველთვის არ აყენებდენ საკითხებს პარტიულ მასის განსახილველად. თუმცა სრული შესაძლებლობა ჰქონდათ ჩაედინათ ეს, ობიექტიური პირობები იძლეოდა ამის საშუალებას.

(მაგალითი: საკითხი, გერმანელ მუშების ფონდში ოქროს იძულებითი შეტანის შესახებ, შეიძლებოდა წინასწარ დასმული ყოფილიყო პარტიულ მასის განსახილველად).

4) ჩვენ არა გვაქვს ერთიანი საქმის წარმოება ყველა რაიკომებში, ხშირად ქაღალდები იგვიანებენ, იკარგებიან. შემჩნეულია უმიზნო მიწერ-მოწერის ზოგიერთი ელემენტები.

5) ჩვენ პირდაპირ ვიხრჩობით მრავალრიცხოვან ანკეტებსა, საინფორმაციო ნუსხებში. საჭიროა მინიმუმამდე შემცირდეს მათი რიცხვი და სხვა.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, არის კიდევ მთელი რიგი დეფექტებისა: დეე, ამ დეფექტების შესახებ გამოსთქვას თავისი აზრი თვით პარტიულმა მასამ.

დროა გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე და პრაქტიკულად გავატაროთ შინაპარტიული მუშათა დემოკრატია.

დისკუსიის დროს, ეგრედ წოდებული ოპოზიციონერები გვეკითხებოდენ: სად არის იმისი გარანტია, რომ დღევანდელი პარტიული აპარატი მოახერხებს შინა-პარტიულ მუშათა დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებასო?

ჩვენ ვუპასუხებთ:

1) მდივნების და იაჩეიკების ბიუროების გენერალური გადასინჯვა (უკვე გადაწყვეტილია ტფილისის კომიტეტის მიერ).

2) ამას წინად არჩეულ რაიკომების გადასინჯვა.

3) ახლო მომავალში ტფილისის კომიტეტის ხელახალი არჩევა. ეს [illegible] არჩევნებს, უკეთესი გარანტია შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ოპოზიცია გვიპასუხებს:

— ვიცით ჩვენ ეს არჩევნები, უმრავლესობა ისევ ძველი დარჩება. იქნება ზეგავლენა და სხვა.

უწინარეს ყოვლისა, თვითეულ იაჩეიკას საშუალება აქვს სთქვას თავისი სიტყვა, თუ ადგილი ექნება ამა თუ იმ ზეგავლენას, მაგრამ ოპოზიცია პირდაპირ დაავადებულია, როცა იგი არჩევნების საკითხს ეხება. **ყველაფერი უკანონო იქნება, თუ არ აირჩევენ მის მომხრეებს.**

მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ოპოზიცია იბრძოდა არა მუშათა დემოკრატიის პრინციპების სიწმინდისათვის, არა იმისთვის, რომ დახმარება გაეწია ორგანიზაციებისათვის გაეტარებია ეს საკითხი, არამედ პარტიულ აპარატის ხელში ჩაგდებისათვის, რათა შემდეგ ცხოვრებაში გაეტარებიათ მთელი ჩვენი პარტიის მიერ დაგმობილი პოლიტიკური ხაზი.

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ შინა პარტიული დემოკრატია არ გატარდება ცხოვრებაში, ვინაიდან ე. წ. ოპოზიციონერებს არსებითად არაფერი საერთო არ ჰქონდათ შინა პარტიულ დემოკრატიასთან, როცა ისინი ხელმძღვანელობდენ პარტიულ აპარატს.

მთავარი გარანტიაა—აქტივობა მთელი პარტიული მასის, რომელიც გაბედულად დაჰგმობს ყველა უფლებებს და ფრაქციებს და მომავალში შესძლებს ცხოვრებაში გაატაროს და მოსთხოვოს თავის ხელმძღვანელ ორგანოებს გაატარონ რ. კ. პ. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლიუცია პარტმშენებლობის შესახებ და ყველა ის კონკრეტიული ღონისძიებანი, რომლებიც ტფილისის ორგანიზაციამ მიიღო.

რუბენ.

P. S. კომიაჩეიკების მდივნების გენერალურ გადასინჯვის დროს ინტერეს მოკლებული არ იქნება გავეცნოთ კომიაჩეიკების მდივნების შემადგენლობას.

1923 წ. 1 ნოემბრისათვის ჩვენ გვაქვს შემდეგი:

სოციალურ შემადგენლობის მიხედვით: 112 მდივნიდან: მუშა—68, გლეხი—5, მოსამსახურე—39.

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით: ქართველი—41, სომეხი—36, თათარი—4, ოსი—1, რუსი—22, ებრაელი—6, ლატიში—2.

ასაკის მიხედვით: 18—23 წლამდე—6, 24—30 წლ.—59, 31—40 წლ.—33, 41 წლისა და მეტი—14.

პარტ. სტაჟის მიხედვით 1905—წლამდე—5, 1905—1917 წ.—4, 1917 წ.—14, 1918 წ.—12, 1919 წ.—22, 1920—23, 1921 წ.—24, 1922 წ.—2, 1923 წ.—6 (საქართველოს გასაბჭოებამდე, არალეგალურად მომუშავე იყო 80 კაცი).

რ.

სეით დევდარიანის წერილი

რედაქციისაგან

როგორც მაჩვენებელს იმ ღრმა გარდატეხისას, რომელსაც ადგილი აქვს მენშევიზმის თვით იდეიურ ბელადებს შორის, ჩვენ ვაქვეყნებთ დღეს სეით დევდარიანის წერილს.

ჩვენ ხელთ არის და ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ იმავე ავტორის სხვა წერილებსაც, რომელთა დაფასებას ჩვენ დავუბრუნდებით.

მე ვნახე ზოგიერთი საბუთები,—ჩვენი პარტიის წევრებთან აღმოჩენილი მიწერ-მოწერა,—რომლებმაც ნათლათ დამიმტკიცეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან მებრძოლი საქართველოს სოციალ-დემოკრატია სდგას მარქსისტულ ხაზისაგან, საერთაშორისო სოციალიზმის იდეოლოგიისაგან გადახრის რეალურ საფრთხის წინაშე.

ეს იხსნება, რასაკვირველია, არა მხოლოთ მით, რომ არალეგალურ მუშაობის პირობები შეუძლებლათ ხდიან სრულ კოლეგიალობას და თანხმოვან მუშაობას. ახსნა უნდა ვეძიოთ სხვა, უფრო ღრმა მიზეზებში. 1921 წლის 10 აპრილის რეზოლიუცია, რომელიც მიღებული იყო ჩვენი პარტიის მიერ, როგორც საფუძველი თავის ტაქტიკის, აშენებულია ორ პრინციპზე—საბჭოთა სისტემასთან თანამშრომლობის, შეთანხმების პრინციპზე და ამ სისტემისადმი მეორე სისტემის (ფორმულა—„დემოკრატიით სოციალიზმისაკენ“) დაპირდაპირებაზე.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს შინაგანი წინააღმდეგობა თანდათან გადალახული იქნება საქმიან ურთიერთობის ნიადაგზე, დაპირდაპირების პრინციპი გაუქმდება, რადგან ბოლოს და ბოლოს, იდეის მხრით, საბჭოთა სისტემა—იგივე დემოკრატიაა. მაგრამ ხელისუფლებამ არ გაუწია ანგარიში ამგვარ თანდათანობითი შეგუებას; 10 აპრილის რეზოლიუციას იგი მიეპყრო ცალმხრივათ და ჩვენს მიმართ თავის პოლიტიკის გამოსასვლელ წერტილათ არჩია ამ რეზოლიუციის ერთი პრინციპი — დაპირდაპირების პრინციპი. ჩვენი პარტია იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაში, [illegible] ურთიერთ დამოკიდებულება გახდა მტრული და შეურიგებელი.

ამიტომაც, ჩვენი პარტიულ მასების შეგნებაში თანდათან უფრო მკაფიოთ ჩამოყალიბდა იდეიები, რომლებიც დამალული იყო ფორმულაში „დემოკრატიით სოციალიზმისაკენ“—იდეიები ძალაუფლებისათვის ბრძოლისა, როგორც ერთად-ერთი გამოსავლის შექმნილ მდგომარეობიდან. ნამდვილათ კი, ეს იდეია არა თუ არ იძლევა რაიმე გამოსავალს, არამედ აყენებს პარტიას ისეთ წინააღმდეგობაში ობიექტიურ შესაძლებლობებთან, რომელიც განწირავს მას ან თავის შეურიგებელ განცდათა უნაყოფო ბრძოლაზე ან ორიენტაციაზე მარჯვნით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიას არასოდეს არ მოსვლია აზრათ ასეთი ორიენტაცია. კერძოთ, პარტიის იდეიური ბელადი ნოე ჟორდანია თავის წერილებში საზღვარგარეთიდან უკანასკნელ წლებში არა ერთხელ აღნიშნავდა საშიშროებას, რომ რუსეთის მემარჯვენე ორგანიზაციებს შეუძლია ისარგებლონ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის გართულებით საქართველოს დასაპყრობათ. და ჩვენი ცენტრალურ კომიტეტის და პარტიულ კონფერენციების დადგენილებებში ყოველთვის გარკვეულათ და ერთსულოვნათ იყო დაგმობილი საერთაშორისო რეაქციის ძალებთან კოალიციის უშუალო ან არაპირდაპირი შესაძლებლობა.

მაგრამ ამა თუ იმ ტაქტიკურ გეზის წარმატებითი განხორციელება არ არის დამოკიდებული პარტიის ცალკე, თუნდაც ძლიერ გავლენიან ხელმძღვანელთა ან პარტიულ ორგანოების დადგენილებებზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ობიექტიურ პირობებს და საჭიროა სრული ანგარიში გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ძალა-უფლებისათვის ბრძოლაში ვერ დაიცავდა მემარჯვენე ძალებისაგან დამოუკიდებელ პოზიციას.

საჭიროა ვაღიაროთ, რომ 2-ე და ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალების ორგანიზაციები სასტიკათ დამარცხდენ საქართველოს საკითხში. საქართველოს დასაცავათ,—და სხვაგვარათ ეს შეუძლებელიც იყო,—მათ გამოქონდათ მხოლოდ პლატონიურ სურვილებისა და თანაგრძნობის გამომხატველი რეზოლიუციები. და რამდენათაც ძალა-უფლებისათვის ბრძოლა გულისხმობს რეალურ ძალისადმი ასეთივე რეალურ ძალის დაპირდაპირებას, იმდენათვე ჩვენი პარტიული წრეების აზრით და ნებისყოფა აუცილებლათ დაქანდება მარჯვნით და შემდეგ კი ჩვენს განცხადებებს ინტერვენციის და ყოველგვარ ავანტიურების წინააღმდეგ მიეცემა მხოლოდ არა დამაკმაყოფილებელ ოფიციალურ ფრაზეოლოგიის ხასიათი.

ვინც ფხიზლათ დაუკვირდება უკანასკნელ სამი წლის ისტორიას და მთელს თანამედროვე სინამდვილეს, ის დარწმუნდება, რომ ეგრედწოდებული, „საშუალო ძალა“ არ არსებობს საერთაშორისო მაშტაბითაც. თვით უძლიერეს მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის—გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, როგორც ვხედავთ, არ ძალუძს გაატაროს სახელმწიფო აღმშენებლობის საკითხებში თვისი დამოუკიდებელი პოლიტიკა.

მით უფრო განუხორციელებელია ასეთი პოლიტიკა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისთვის. საქმე იმაში კი არ არის, რომ საქართველოში იგი უძლიერესი პარტიაა, მასზე მარჯვნით მდგომ პარტიათა შორის, არამედ იმაში, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს. იგი უეჭველათ ჩავარდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ან ასეთ სახელმწიფოთა ჯგუფის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის ქვეშ. და მაშინ,—გვინდა არ გვინდა, საქართველო გადაიქცევა საერთაშორისო რეაქციის ერთ-ერთ დასაყრდნობ წერტილათ. შეიძლება ეს შეეფერებოდეს კიდეც „ობივატელ“-თა მასების სტიქიურ სულიერ განწყობილებას: „ვინც გინდათ, ოღონდ ბოლშევიკები მოგვაშოროთო“, მაგრამ ჩვენი პარტია ვერ დაქვეითდება ასეთ სულისკვეთებამდე და ვერ შეიწყნარებს, რომ საქართველო ჩავარდეს რუსეთის „ობივატელების“ მდგომარეობაში, რომლებიც მუხლს იდრეკდენ დენიკინის ძალთა წინაშე, ხოლო ამ ძალთა ნამდვილ ფიზიონომიის გაცნობის შემდეგ იმავეს სჩადიოდენ ბოლშევიკების მიმართ.

ჭეშმარიტება კონკრეტიულია—და ძალთა იმ ჭიდილში, რომელიც ხდება საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენი ფორმულა — „დემოკრატიზმი სოციალიზმისაკენ“, უსათუოდ აღივსება კონკრეტიულ რეაქციონურ შინაარსით. ამიტომ ჩვენმა პარტიამ უსათუოდ უარი უნდა სთქვას პრინციპიალურად ხელისუფლებისათვის ბრძოლის იდეაზე და ამასთან შეფარდებით შეცვლილი უნდა იქნეს 10 აპრილს. მიღებული რეზოლიუციის აღნიშნული ფორმულა, ხოლო პარტიულ ტაქტიკის საფუძვლად უნდა დაიდოს ამავე რეზოლიუციის მეორე პრინციპი—საბჭოთა სისტემასთან თანამშრომლობის შეგუების პრინციპი.

საბჭოთა წესწყობილებაში არის ორი ტენდენცია. ერთის მხრივ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე ფართოვდება კაპიტალის გავლენის სფერო, ამასთან დაკავშირებით ფეხს იკიდებს ინტერესთა წინააღმდეგობა კაპიტალს და შრომის შორის; მეორე მხრით, საბჭოთა ხელისუფლების ზედა ფენებში, პროფესიონალურ კავშირებში, კომუნისტურ პარტიაში ისმება საკითხი უპარტიო მუშათა და გლეხთა მასებთან დაახლოვების შესახებ, იქმნება ახალი ორგანიზაციული ფორმები ამ მიმართულებით, ისახება გზები პროლეტარიატის დიქტატურის ბაზის გაფართოებისათვის.

ბრძოლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის სახიფათო გადახრასთან და მისწრაფება ფართო უპარტიო მასებთან დაახლოვებისაკენ, პარტიის დიქტატურის კლასის დიქტატურად გადაქცევის ცდა იქნება იმდენად უფრო ნაყოფიერი, რამდენადაც მმართველი პარტიისათვის არ იქნება საგრძნობი ხელისუფლების საწინააღმდეგო საფრთხე.

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ყოველგვარი პარტიული თავმოყვარეობის გარეშე, ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს აზრი და ამაზე უნდა ავაგოთ ჩვენი მომავალი ურთიერთობა მმართველ პარტიასთან, ვაწარმოვოთ საღი კრიტიკა და მიზნად უნდა ვისახავდეთ არსებული წესწყობილების არა დამხობას და შერყევას, არამედ მის გაუმჯობესებას და განმტკიცებას. საბჭოთა ხელისუფლების გზით პროლეტარიატის დიქტატურის ბაზის გაფართოებისაკენ, პროლეტარული დემოკრატიზმისაკენ, საწარმოვო ძალთა განვითარებისა და სოციალისტურ რევოლიუციისათვის მატერიალურ პირობების მომზადებისაკენ—აი როგორი უნდა იყოს ჩვენი გზა და ამ გზაზე ჩვენ სავსებით მხარი უნდა დაუჭიროთ მმართველ პარტიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი გულისხმობს მის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას. ამ საკითხებში საბჭოთა ხელისუფლების გაკრიტიკების დროს მე არასოდეს არ ვამბობდი და არც შემეძლო მეთქვა, რომ ძალა-უფლების ჩვენს ხელში გადმოსვლისას შეიქმნება საუკეთესო პირობები ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობისათვის. პირიქით, ხელისუფლების ყოველგვარი შეცვლა მხოლოდ გააუარესებს ამ პირობებს, ის გამოიწვევს რუსეთის ტერიტორიაზე ახალი სამოქალაქო ომების პერიოდს. საქართველო ჩაებმება ამ ომებში და [illegible] კი მიგვიყვანს საწარმოვო ძალების კიდევ უფრო მეტ [illegible]ბამდე.

თავის სამეურნეო და კულტურულ განვითარების ინტერესთა მიხედვით, საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის შესაძლებლობანი, რომლებიც მოცემულია საერთო საკავშირო საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, მან მხარი უნდა დაუჭიროს მმართველ პარტიას ეკონომიური ნაციონალიზაციის პრინციპების გატარებაში, ნაციონალური კულტურის საფუძვლების განმტკიცებაში და იმ მისწრაფებაში, რათა ახალმა ბურჟუაზიულმა რუსეთმა ვერ შესძლოს საქართველოს გამოყენება ექსპლოატაციის ობიექტად.

სეით დევდარიანი.

კოოპერაცია და „მაკრატელი“

მთელი აზრი სამომხმარებლო კოოპერაციის დაარსებისა ჩვენს პირობებში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაახლოვებულ იქმნას მომხმარებელი მწარმოებელთან და მოსპობილი მათ შუა აღმართული კედელი, რომელიც ხელს უშლის ქალაქის მრეწველობის საქონლის სოფლად უშუალოდ მიწოდებას.

აქედან ცხადი ხდება, თუ როგორი როლი უნდა შეასრულოს კოოპერაციამ, რომ გადაჭრილ იქმნას წყეული საკითხი „მაკრატლის“ შესახებ.

სრულიადაც საკმარისი არ არის პროდუქციის თვითღირებულების გამორკვევა და იმ პროცენტის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც უნდა დაედოს ამა თუ იმ საქონელს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, საკმაო არ არის მხოლოდ შინა ვაჭრობის კომისიის დადგენილება.

საჭიროა, რომ საერთო ხასიათის ზომები აუცილებლად განხორციელებულ იქმნას. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ გლეხები საქმით დავარწმუნოთ, რომ მთავრობა ამა თუ იმ ღონისძიებებს ახორციელებს დეკლარაციის გულისთვის კი არა, არამედ მოსახლეობის ღარიბ წრეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ამისათვის საჭიროა იმდენად გაჯანსაღებულ იქმნას ჩვენი სავაჭრო აპარატები, რომ მათ უნარი აღმოაჩნდეთ ამ დადგენილებათა განსახორციელებლათ.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ის ორგანიზაცია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მოსახლეობის ფართო წრეებთან.

ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს კოოპერაცია.

მას შემდეგ, რაც კოოპერატიული აპარატის მართვა-გამგებლობა გადავიდა უფრო საიმედო ხელში, როგორც ცენტრში, [illegible] ამა წლი[illegible] რომ არის გა[illegible]ბის გა საუმჯობე[illegible]ლ საზოგადოე[illegible] ახალ დროის პირობების მოთხოვნილებათა თანახმად.

მიუხედავათ ამისა, შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ამ მხრივ საქმე ყველაფრით ჯერ კიდევ კარგად არ არის დაყენებული.

ეს არც გასაკვირია.

ერთის წლის განმავლობაში ძნელი იყო მთელი იმ საორგანიზაციო მუშაობის შესრულება, რომელიც ესრედ საჭირო კოოპერაციის, ასე ვსთქვათ, სრულ გადახალისებისათვის.

მაგალითად მენშევიკურმა სახელმწიფომ საქართველოში მემკვიდრეობად დაგვიტოვა ისეთი კოოპერაცია, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას.

პირველ საფეხურის კოოპერატივთა და რესპუბლიკანურ ცენტრის გარდა არსებობდა სარაიონო ერთეულები, რომელნიც ზედმეტს საფეხურს წარმოადგენდნენ. მათი რიცხვი ოცამდე იყო. ყველა ესინი ავტონომიურად მოქმედებდნენ. თავის აპარატების შესანახად საჭირო ხარჯების დასაფარავად სარაიონო ერთეულები იძულებული იყვნენ, წმინდა სპეკულიანტურ ხასიათის ოპერაციები მოეხდინათ. ყველა ეს ზედმეტ ტვირთად აწვებოდა ქალაქის მრეწველობის თვითღირებულებას, რასაც შედეგად მოსდევდა ის, რომ პირველ საფეხურის ორგანიზაციები ბევრად უფრო ძვირ ფასებში აძლევდნენ საქონელს მომხმარებლებს, ვიდრე სპეკულიანტები.

ასეთმა მდგომარეობამ კოოპერატიულ ერთეულთა შორის შექმნა გარკვეული უნდობლობა ერთმანეთისადმი. სარაიონო ერთეულები ერიდებოდნენ ცენტრალურ კავშირის საწყობებიდან საქონლის წაღებას, ხოლო პირველ საფეხურის კოოპერატივები ბაზარზე გამოდიოდნენ სარაიონო ერთეულების გარეშე.

„ცეკავშირის“ ახალმა გამგეობამ მოახერხა სარაიონო კანტორების მოსპობა და უშუალო კავშირის დაჭერა პირველ საფეხურის საზოგადოებებთან. ამასთანავე ამ საზოგადოებათა გარდაქმნა ჰხდება მთლიან სამომხმარებლო საზოგადოების მსგავსად, რომელსაც აქვს თავისი განყოფილებანი.

ყველაფერი ეს გაკეთებულ იქმნა იმისი სრულის შეგნებით, რომ არსებობს უკიდურესი საჭიროება უშუალო კავშირის დაჭერისა მომხმარებელთა შეკავშირებულ კადრთან. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცალკე საზოგადოებანი უშუალოდ დაუკავშირდებოდნენ ცენტრს და მაშასადამე საჭირო აღარ იქნებოდა საქონლის შესყიდვა „ცეკავშირის“ გარეშე.

მიუხედავათ ამისა, არის ბევრი ისეთი შემთხვევა, როდესაც ცალკე საზოგადოებათა გამოსვლა არ შეეფერება ცენტრის საერთო სავაჭრო პოლიტიკას.

მართალია ასეთი შემთხვევები ახლა ნაკლებია, ვიდრე ეს იყო წინად, როდესაც სულ სხვა სქემაზე იყო აგებული კოოპერატივთა ქსელი.

მიუხედავათ ამისა, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს „ცეკავშირის“ რწმუნებულთა ყრილობამ.

დღევანდელი მომენტი მოითხოვს, რომ პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებულ იქმნას საკითხი „მაკრატლის“ შესახებ და მიღებულ იქნეს ზომები მის გადასაჭრელად, კოოპერატივებში გაერთიანებულ მომხმარებელთა დახმარებით.

ა. ერქომაიშვილი.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ტორიებისა და ცილისწამების კამპანია.

ლონდონი. 23 დეკემბერი. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხში მთავარი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ბრიტანეთის ქვეშევრდომები რუსეთში ყოველ წუთში უნდა მოელოდენ უსამართლო რეპრესიებს მთავრობის მხრივ მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთის ქვეშევრდომნი ინგლისში სარგებლობენ პიროვნების და საკუთრების სრული თავისუფლებით. გაზეთი სწერს, რომ საბჭოთა რუსეთში არ მოიპოვება სათანადო სამოსამართლო ინსტანციები, რომლებისადმიც შეეძლოს მიმართვა ბრიტანელ მოქალაქეს. გაზეთის აზრით, არ შეიძლება საბჭოთა რუსეთის ცნობა, სანამ არ იქნება დაცული ინგლისელ მოქალაქეების პიროვნების და საკუთრების თავისუფლება რუსეთის ტერიტორიაზე.

თავის მოსაზრებათა დასამტკიცებლად, გაზეთი მიმართავს მაკდონალდს შენიშვნით, რომ „რაპალოს ხელშეკრულებამ ხელი არ შეუშალა მოსკოვის მთავრობას დახმარება გაეწია ბერლინში მომხდარ არეულობისათვის“. შემდეგ გაზეთი ემყარება იუზის ცნობილ „გამომჟღავნებას“ და აცხადებს, რომ ინგლისი იცნობს რუსეთს მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი ანგარიშს გაუწევს საერთაშორისო ურთიერთობათა ჩვეულებრივ ნორმებს და უარს იტყვის სხვა ქვეყნებში რევოლიუციებისათვის ფინანსიურ დახმარებაზე.

„ტაიმსი“, რომელიც ემხრობა საბჭოთა მთავრობის ცნობის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას, სარგებლობს დღევანდელ პარტიულ დისკუსიით და ამტკიცებს, რომ რუსეთთან შეთანხმება უიმედოა. ლიბერალური პრესა რჩება საერთო ძველ პოზიციებზე და გამხნევებულია ებერტის უკანასკნელ წერილით საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის შესახებ. ლიბერალმა დეპუტატმა კენვორტიმ „ფინანშელ ტაიმსის“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ თუ კონსერვატორებს გააჩნიათ რეალობის ცოტაოდენი გრძნობა, მათ უნდა დაესწროთ ლიბერალებისა და მუშათა პარტიისათვის. კენვორტი აღნიშნავდა საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების აუცილებლობას, რადგან რუსეთის ბაზარი უზრუნველჰყოფდა სამუშაოთი ინგლისის არა ნაკლებ 500.000 კვალიფიციურ მუშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამერიკაში: იუზის პროვოკაცია დამარცხდა. საზოგადოებრივი წრეები და პრესა აცხადებენ, რომ იუზის საბუთები ყალბი არის. ამერიკის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აცხადებს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობები სიმართლეს არ შეეფერებაო. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სენატის პროგრესიულ ნაწილს განაგრძონ ბრძოლა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ.

საფრანგეთი: საფრანგეთის უნივერსალური დეპეშათა სააგენტო ათავსებს წერილებს, რომლებიც გამოხატავენ ორი ფინანსიური ჯგუფის ინტერესებს. ეს ჯგუფები საბჭოთა კავშირის ცნობას მოითხოვენ.

რუმინეთი: ოდესაში ჩავიდა ტირასპოლიდან რუმინეთის დელეგაცია. გუშინ დაიწყებოდა საბჭოთა კავშირის და რუმინეთის დელეგატების კონფერენცია.

ამერიკაში

იუზის პროვოკაცია.

მოსკოვი. 24 დეკემბერი. ამერიკის მუშათა პარტიის („უორკერ პარტი"-ს) ცენტრალურმა კომიტეტმა, გამოაქვეყნა მიხსენება, რომელშიაც **ამჟღავნებს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ საბუთების სიყალბეს.** ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს კონგრესის პროგრესისტ წევრებს მოითხოვონ ამ საქმის სასტიკი გამოძიება და განაგრძონ ბრძოლა საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის. ბურჟუაზიული პრესაც ერთსულოვან ეჭვს გამოსთქვამს იუზის მიერ გამოქვეყნებულ ზინოვიევის ინსტრუქციის სისწორის შესახებ.

ამერიკულ „უორკერ პარტი"-ს განცხადება.

ნიუ-იორკი 24 დეკემბერი. (კომინტერნის სახელობის რადიო-ტელეფონი) „უორკერ პარტი"-ს ცენტრ. კომიტეტის განცხადება, რომელსაც ხელს აწერს რუტენბერგი, ამჟღავნებს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ საბუთების სიყალბეს. განცხადებაში ნათქვამია: „კომინტერნს არასდროს არ გაუგზავნია და არც შეეძლო გაეგზავნა ასეთი სულელური ინსტრუქციები. ეს საბუთები წარმოადგენენ პროფესიონალურ ჯაშუშების მიერ შეთითხნილ სიცრუეს. ჩვენ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი და იუსტიციის დეპარტამენტი ყალბს საბუთებს ამზადებენ ამერიკელ ხალხის მოტყუების მიზნით. ჩვენ მოვითხოვთ კონგრესის პროგრესისტ-წევრებისაგან ამ საქმის სასტიკ გამოძიებას და ბრძოლის გაგრძელებას საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის". მუშათა პარტიის ცენტრ. კომიტეტი დასცინის, ვითომდა კომინტერნის მიერ გამოგზავნილ ინსტრუქციას სროლისა და სასანგრო მუშაობის შესწავლის შესახებ და აცხადებს: „შეიარაღებული და სროლაში გაწვრთნილი ჯგუფები ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენენ სწორედ კაპიტალისტებისა და იუსტიციის დეპარტამენტის ჯაშუშ-დამქაშებს, რომელთა დანიშნულებაა მუშათა და ფერმერების ორგანიზაციების დარბევა".

იუზი დამარცხდა.

ნიუ-იორკი. 24 დეკემბ. ნიუ-იორკის პრესა დიდ ადგილს უთმობს დღეს გუშინდელ კამათს სენატში, დაწვრილებით ეხება ბორის, მორისის და სხვა პროგრესისტების გამოსვლებს კომინტერნიდან, თითქოს, მიღებულ დოკუმენტების სისწორის საკითხის გარშემო. **ფიქრობენ, რომ შემდეგში სენატი განიხილავს რუსეთის ცნობის და აგრეთვე შეერთებულ შტატებში კომუნისტური პროპაგანდის საკითხს.**

სახელმწიფო დეპარტამენტიდან ახლო მომავალში ელოდებიან ახალ „გამომჟღავნებას". ბურჟუაზიული გაზეთებს ეჭვი ეპარებათ ზინოვიევის ინსტრუქციების სინამდვილეში. „ნიუ-იორკ-უორლდ"-ი, დასცინის რა იუზს, ამბობს, რომ **„რევოლიუციის პროპაგანდის ასეთი საბუთები" რევოლიუციას არ აშინებს. გაზეთი მოითხოვს სახელმწიფო დეპარტამენტიდან ყველა „საბუთების" გამოქვეყნებას.**

„ივნინგ პოსტ"-ი ამბობს, რომ საჭიროა დაცვა სენატის გამოძიების შედეგებისათვის, რათა გადაიჭრეს საკითხი, ვინ არის მართალი დოკუმენტების სისწორის საკითხში: იუზი თუ ბორა. ამავე დროს გაზეთი ფიქრობს, რომ კომინტერნის და საბჭოთა რუსეთის იგივეობა დამტკიცებულია.

„ივნინგ უორლდ"-ი აღნიშნავს, რომ იუზის მიერ ინსტრუქციების გამოქვეყნება კიდევ უფრო გაურკვეველს ხდის პრეზიდენტის წერილის კილოს.

გაზეთის სიტყვით, კულიჯის წერილში აშკარად გამოთქმული პირობები, რომლებზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება ურთიერთობის განახლება საბჭოთა რუსეთთან, სავსებით ასაბუთებენ იმ შეხედულებას, რომ ის მზად იყო მოესმინა საბჭოთა მთავრობის წინადადება. **ჩიჩერინმა უკვე აღუთქვა ამ პირობების შესრულება და მოითხოვა მოლაპარაკების დაწყება,** როდესაც უეცრად **იუზმა სასტიკი წინააღმდეგობა აუწია ჩიჩერინს და წარუდგინა მარაღაც საბუთები საბჭოთა რუსეთის მიერ ამერიკის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ.** „მაგრამ—სწერს გაზეთი—კულიჯს ხომ უნდა სცოდნოდა ეს საბუთები იმ დროს, როდესაც ის სწერდა თავის წერილს კონგრესს".

გაზეთს ეჭვი შეაქვს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების სისწორეში და დასასრულ აღნიშნავს: „არის თუ არა მოსკოვში მოძრაობა ჩვენს წინააღმდეგ? თუ არ არის, მაშინ იუზის მიერ გამოქვეყნებულ საბუთებს არ აქვს მნიშვნელობა. თუ არის, მაშინ პრეზიდენტის წერილი გაუგებარი რჩება".

ინგლისში

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

ლონდონი. 23 დეკემბერი. „ვესტმინსტერ გაზეტა"-ც **მოითხოვს საბჭოთა რუსეთის ცნობას და ამტკიცებს საბჭოთა რუსეთის სასურველ ფინანსიურ პერსპექტივებს.**

„მანჩესტერ გარდიენის" ლონდონის კორესპონდენტი, შესაძლებლად სთვლის საბჭოთა მთავრობის ცნობას და აღნიშნავს, რომ ეს ცნობა იქნება, სხვათაშორის, ლონდონში არსებულ მეფის საელჩოს შენობის საბჭოთა მთავრობისათვის დაბრუნება და ინგლისში მრავლად რუსეთის ელჩების დაშვება.

საფრანგეთში

საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის დაახლოვებისათვის.

პარიზი. 25 დეკ. ერბეტის იმ წერილის შემდეგ, რომელშიაც აღნიშნული იყო საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის განახლების საჭიროება, უნივერსალურმა ტელეგრაფის სააგენტომ დაბეჭდა წერილი, რომელიც **გამოხატავს ორი ფინანსიური ჯგუფის აზრს და მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას.**

რუმინეთში

კონფერენციის წინ.

ოდესა. 26 დეკ. ტირასპოლიდან ჩამოვიდა რუმინეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც თავმჯდომარეობს კრისტოდარესკუ. **კონფერენცია გაიხსნება ხვალ.**

გერმანიის ამბები.

გერმანიის მთავრობამ მაღაროებში რვა საათის სამუშაო დღე შემოიღო.

გამომუშავებულია ბინის ქირის გადახდევინების ახალი პროექტი. პროექტის თანახმად ბინის ქირა ოქროს მარკებში იქნება გამოანგარიშებული.

მემარჯვენე პრესა უკმაყოფილოა გელფერიხის გადაყენებით და საიმპერიო ბანკის დირექტორად შახტის დანიშვნით.

რეინლანდში დაარსდა ახალი სეპარატისტული პარტია, რომელსაც განზრახვა აქვს მიმართოს ნაციათა ლიგას თხოვნით რეინლანდის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

[illegible] მოწვეული იქნება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ყრილობა.

ბავარიის სახალხო პარტიას განზრახვა აქვს შესცვალოს ბავარიის კონსტიტუცია. ახალი პროექტით ლანდტაგს ითხოვს არა მთელი ხალხი რეფერენდუმის საშუალებით, არამედ ლანდტაგის ორი მესამედი.

მთავრობის რეფორმები

საბინაო ქირის გადიდება.

ბერლინი, 25 დეკემბერი. გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი საბინაო ქირის გადიდების შესახებ. სარწმუნო წრეებში აღნიშნავენ, რომ ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს საბინაო ქირის ოქროს ვალიუტით ანგარიშს ომის წინა დროის ნორმის მიხედვით.

ბერლინი. 25 დეკემ. სრულიად გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს ტიურინგიაში დანიშნოს მთავრობის კომისარი, რათა ზეგავლენა მოახდინოს თებერვალში დანიშნულ ტიურინგიის ლანდტაგის არჩევნებზე. სამხედრო წრეებში კომისრის თანამდებობაზე ასახელებენ ნაციონალისტების კანდიდატს.

შახტის დანიშვნის გარშემო.

ბერლინი, 25 დეკემბერი. [illegible] დაამტკიცა შახტი რეიხსბანკის თავმჯდომარედ. ამავე დროს შახტი რჩება ვალიუტის საქმის კომისრად. მემარჯვენე პრესა უკმაყოფილოა გელავერინის დამარცხებით და აცხადებს, რომ შახტის დანიშვნა მოხდა რეიხსბანკის დირექციის სურვილის წინააღმდეგ. **პრესა გამოსთქვამს ეჭვს** იმაში, რომ **შესაძლებელი იყოს რეიხსბანკის და სარენტო, ბანკის ლოიალური თანამშრომლობა.**

მარქსის სიტყვა

ბერლინი. 27 დეკემ. კანცლერმა მარქსმა თავის უკანასკნელ სიტყვაში შეეხო რა რურისა და რეინლანდში შექმნილ მდგომარეობას, სთქვა: „გერმანიის ხალხს და გერმანიის მთავრობას განზრახული აქვთ ზედმიწევნით შეასრულონ თავისი საკონტრიბუციო ვალდებულებანი, მაგრამ ეს შეუძლებელია მანამ, სანამ ჩვენ ხელში არ იქნება ყველაზე ნაყოფიერი ოლქები. ხიშტებს და ძალადობას არასოდეს არ მოჰყვება ეკონომიური შედეგები. რაკი რურის და რეინლანდის მცხოვრებნი მიიღებენ თავიანთ ესოდენ სანუკვარ თავისუფლებას, ისინი ჩქარა გამოიჩენენ თავის ძველ ენტუზიაზმს მუშაობაში, მიუხედავათ დღევანდელ ჩაგვრისა და ფიზიკური განადგურებისა. ჩვენ დამარცხებული ერი კი არა ვართ, არამედ ჩვენ ვართ ამაყი ხალხი, რომელიც მოითხოვს ცხოვრების საშუალებას, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ამის უფლება".

რეაქცია „მუშაობს"

ბავარიელი მეამბოხენი შეშფოთდენ.

ბერლინი. 24 დეკემ. ბავარიელ ნაციონალისტებს შორის დაწყებულ მღელვარების გამო, გააძლიერეს ლიუდენდორფის და ჰიტლერის დაცვა. მიუნხენში და ბავარიის სხვა ქალაქებში მოხდა მრავალი დაპატიმრება.

ზეგავლენა ბრძანება

ბერლინი. 25 დეკემ. კარმა აკრძალა ნაციონალისტურ კავშირის ორგანო „ბავარია და გერმანია", ისეთი წერილის მოთავსებისათვის, რომელიც იმუქრებოდა კნილინგის მთავრობის ძალით გადაყენებით და ბავარიის ლანდტაგის დათხოვნით. გაგრძელებულია ფაშისტურ გაზ. „ობერბაიერერის" აკრძალვა. აკრძალულ ორგანოების ნაცვლად ფაშისტები უშვებენ ახალ გაზეთს „დეიჩერ ექსპრესს".

სეპარატისტების ახალი გეგმები

პარიზი. 27 დეკ. „ჟურნალის" ცნობით, მაინცში ბრიუკნერის თავმჯდომარეობით შედგენილია რეინლანდის დემოკრატიული სახალხო პარტია. პარტიის პროგრამა მოითხოვს რეინლანდის ადმინისტრატიულ ავტონომიას და ლანდტაგის შედგენას. პარტიას შეაქვს ერთა ლიგაში საკითხი რეინლანდის სრული დამოუკიდებლობის შესახებ, ამასთანავე უარყოფს სეპარატისტების ლიდერებს დორტენს, სმიტსს და მატესს.

მთავრობის „რეფორმები"-ს სამუშაო დღე.

ბერლინი. 27 დეკემ. ოფიციალურმა საარბიტრაჟო კომისიამ ბერლინში დააწესა სამუშაო დღეთ ცენტრალურ გერმანიის მემაღაროებისათვის 8 საათი მიწის ქვეშ მომუშავეთათვის და 10 ს. მიწისზევით მომუშავეთათვის.

კონსტიტუციის შეცვლის პროექტი

ბერლინი. 25 დეკემბერი. ბავარიის სახ. პარტიას განზრახული აქვს დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ პარტიულ კონფერენციისათვის შეიმუშავოს რეიხსტაგში წარსადგენად წინადადება ლანდტაგის დათხოვნის წესრიგის შეცვლის შესახებ. სახალხო პარტიის პროექტით საკითხი ლანდტაგის დათხოვნის შესახებ, უნდა გადასწყდეს არა ლანდტაგის ორი მესამედის უმრავლესობით, არამედ საყოველთაო ხმის მიცემით.

ამ გზით ბავარიის სახ. პარტია ფიქრობს შეადგინოს კვალიფიციურ უმრავლესობისაგან დამოუკიდებელი ლანდტაგი და კერძოთ კი ბავარიის პრეზიდენტს მიანიჭოს სუვერენული უფლებები ვიცელს ბახების დინასტიის მოადგილის სახით.

ბერლინი. 25 დეკემბერი. ბავარიის სახ. პარტიას განზრახული აქვს დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ პარტიულ კონფერენციისათვის შეიმუშავოს რეიხსტაგში წარსადგენად წინადადება ლანდტაგის დათხოვნის წესრიგის შეცვლის შესახებ. სახალხო პარტიის პროექტით საკითხი ლანდტაგის დათხოვნის შესახებ, უნდა გადასწყდეს არა ლანდტაგის ორი მესამედის უმრავლესობით, არამედ საყოველთაო ხმის მიცემით.

ამ გზით ბავარიის სახ. პარტია ფიქრობს შეადგინოს კვალიფიციურ უმრავლესობისაგან დამოუკიდებელი ლანდტაგი და კერძოთ კი ბავარიის პრეზიდენტს მიანიჭოს სუვერენული უფლებები ვიტელსბახების დინასტიის მოადგილის სახით.

სოციალ. დემოკრატებს შორის

სრულიად გერმანიის სოციალ-დემ. ყრილობის პროექტი.

ბერლინი. 25 დეკემ. სოც.-დემ. წრეებში განზრახულია მარტში მაგდებურგში სრულიად გერმანიის პარტიულ ყრილობის მოწვევა. რათა უზრუნველჰყოს ყრილობის უმრავლესობა, მემარჯვენე ფრთა სცდილობს მემარჯვენე ფრთის პოზიციაზე მდგომ ორგანიზაციების წარმომადგენლობის უფლების გაფართოებას.

ჰიტლერის აჯანყების შემდეგ

სიმართლე ირკვევა.

ბერლინი. 25 დეკემბ. უკანასკნელ დღეებში შემოღებულია უფრო მკაცრი რეჟიმი ლიუდენდორფის მიმართ, რომელიც საპატიო პატიმრად ითვლება. დაპატიმრებული არიან ის პირები, რომლებიც მას ნახულობდენ. რევენტლოვის ორგანომ „რეიხსვარტმა" მოათავსა ლიუდენდორფის ახალი გამომჟღავნებანი ჰიტლერის „პუტჩის" წინ ლოსსოვის მოქმედების შესახებ. ლიუდენდორფის განცხადებით, ლოსსოვმა გამოიწვია ის მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, რომ თუ ბერლინთან კონფლიქტი მოხდებოდა ერთად გამოსულიყვენ და მოლაპარაკების დროს მან აღნიშნა, რომ ბავარიის რეიხსვერი მის ხელშია და მზად არის ბერლინზე გასალაშქრებლად. შემდეგ ლოსსოვი ხშირად დადიოდა ლიუდენდორფთან და მასთან ერთად იხილავდა საკითხს ბერლინზე გალაშქრების შესახებ. ლოსსოვი მხარს უჭერდა ბავარიაში საერთო ნაციონალურ მთავრობის შედგენას, ჩრდილოეთ გერმანიის სხვადასხვა მოღვაწეების მონაწილეობით. 7 ნოემბერს ლოსსოვმა ტელეფონით გადასცა ლიუდენდორფს, დადგენილება ბერლინზე გალაშქრების შესახებ.

ლიუდენდორფის გამომჟღავნების გამო სექტმა ორი კვირით აკრძალა „რეიხსვარტი".

გერმანიის ამბების გამოძახილი

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება.

პარიზი. 24 დეკემ. ბერლინიდან მიღებული ცნობით, გერმანიის რწმუნებული ფონგეში პუანკარესთან შეხვედრის დროს განუცხადებს მას, რომ გერმანიის წინადადების მიზანია რეინლანდში კანონიერი წესრიგის სასწრაფოდ აღდგენა.

მდგომარეობა საბერძნეთში

იწვევენ ვენიზელოსს.

რომი. 27 დეკ. ათინიდან მიღებული ცნობით მთავრობამ ვენიზელოსს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ხელს აწერს პლასტირასი. დეპეშაში მთავრობა დეპუტატების, ხალხის და არმიის და ფლოტის სახელით სთხოვს ვენიზელოსს დაბრუნდეს საბერძნეთში ნაციონალური კრების მოწვევამდი.

ვენიზელოსი ბრუნდება.

რომი. 27 დეკ. როგორც ათინიდან იუწყებიან, ვენიზელოსმა დეპეშით აუწყა ათინის მთავრობას თავისი დაბრუნების შესახებ. ვენიზელოსი ბრუნდება დროებით. ვენიზელოსი ადასტურებს, რომ მას სურვილი აქვს ხელი შეუწყოს საბერძნეთში ნორმალური ცხოვრების აღდგენას. მარსელიდან ვენიზელოსი გამოვა 29 დეკემბერს.

პარიზი. 27 დეკ. როგორც იუწყება საბერძნეთის დიპლომატიური მისია პარიზში, ვენიზელოსმა აუწყა კონდილის და პლასტირასს, რომ ის ბრუნდება საბერძნეთში. ვენიზელოსი აცხადებს, რომ მას არა აქვს განზრახვა [illegible], მაგრამ [illegible]

დასასრულებლათ...

რომი, 27 დეკ. საბერძნეთის მეფე-დედოფალი ბუქარესტში ჩავიდენ, სადაც მათ ზეიმით შეხვდენ,

ნაციონალური არბიტრი.

პარიზი, 27 დეკემბერი. „ჟურნალ დე დება" იუწყება, რომ საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ ვენიზელოსი არ შეადგენს მთავრობას თავისი მეთაურობით, არამედ შეასრულებს შუამავალის როლს. გაზეთები ვენიზელოსს „ნაციონალურ არბიტრს" უწოდებენ.

საზეიმო შეხვედრის ასაცილებლად

პარიზი, 27 დეკემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით პლასტირასი ვენიზელოს ზღვაში შეხვდება. საზეიმო შეხვედრის ასაცილებლად ვენიზელოსის ჩამოსვლის დროს და ადგილს მალავენ.

ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტი

ინგლისის მოქალაქეები სტოვებენ ავღანისტანს.

ბერლინი. 27 დეკემბერი. ბრიტანეთის მოქალაქეებს ნაბრძანები აქვთ გავიდენ ქაბულიდან. **მოსალოდნელია, რომ ინგლისის ჯარები დაიკავებენ ხაიბარის სრუტეს, რაც უეჭველად კავშირს შესწყვეტს ინდოეთსა და ავღანისტანს შორის.**

ახალი ოსმალეთი

ბრძოლა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის.

მოსკოვი. 26 დეკემ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ოსმალეთში ამხ. სურიცმა, რომელიც ჩამოვიდა მოსკოვში, „როსტა"-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს აღნიშნა შემდეგი: „ჩვენი ურთიერთობა ოსმალეთთან განისაზღვრება უკანასკნელის ბრძოლით ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩაითვლება დასრულებულათ. ოსმალეთმა ლოზანის კონფერენციაზე მოიპოვა ბრწყინვალე, თუმცაღა არა სრული გამარჯვება, განსაკუთრებით სრუტეების საკითხში. ოსმალეთი ლოზანის კონფერენციის შემდეგ წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს იმ დიდ სახელმწიფოების კოალიციონურ ძლიერებისათვის, რომლებიც ძნელათ ურიგდებიან ლოზანის კონფერენციის შედეგს.

საბჭოთა კავშირი—ეს ერთად ერთი დიდი ქვეყანაა, რომელიც არ ისახავს მტაცებლურ მიზნებს ოსმალეთის მიმართ. ოსმალეთს მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეუძლია ჰპოვოს ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია ოსმალეთის სრული დამოუკიდებლობით. ეს შეგნებული აქვს ოსმალეთის საზოგადოების ფართე წრეებს და ამით განისაზღვრება ჩვენი ურთიერთობა ოსმალეთთან.

ბრძოლა ეკონომიური თავისუფლებისათვის.

სამხედრო ფრონტზე გამარჯვების მოპოების შემდეგ, ოსმალეთის წინაშე დაისვა ეკონომიური დაქვეითების შესაძლებლობის თავიდან აცდენის ამოცანა. ოსმალეთის სახელმწიფო ამოცანას. კარგად ართმევენ თავს ამ მოღვაწეები მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი:

მიღებული იქნა დადგენილება ინგლის-ბაღდადის რკინისგზის გამოსყიდვის შესახებ; უკანასკნელის აქციების უმრავლესობა ეკუთვნოდა ინგლისელებს. განზრახულია გამოსყიდვა თამბაქოს მონოპოლიის, რომელიც იმყოფება საფრანგეთის კამპანიის ხელში. როგორც სჩანს, ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ხელშეკრულება ამერიკელ კონცესიონერთან—ჩესტერთან. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ოსმალეთის ეკონომიურ განთავისუფლებას.

ბრძოლის დასრულება.

რესპუბლიკის გამოცხადებით დასრულებული და განმტკიცებულია ნაციონალური ბრძოლა ოსმალეთში. მეჯლისის უმრავლესობა ემხრობა სახალხო პარტიას, რომელსაც მეთაურობს ნაციონალური გმირი ქემალ-ფაშა. ოპოზიცია უმნიშვნელოა და შესდგება იმ წრეებიდან, რომლებიც ცდილობენ რევოლიუციონურ მონაპოვარის აღმოფხვრას, მაგრამ ეს არ წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს სახალხო პარტიისათვის, რომელიც ემყარება მოსახლეობის ფართე წრეების და განსაკუთრებით კი ანატოლიის გლეხობის თანაგრძნობაზე.

პოლონეთში

სეიმის დათხოვნა სადღესასწაულოთ.

ვარშავა. 25 დეკემ. სეიმი დათხოვნილია შობის დღესასწაულის გამო. საკითხი მთავრობის უფლებათა გაფართოვების შესახებ გარჩეული იქნება დღესასწაულების შემდეგ.

უთანხმოება მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხში.

ვარშავა. 25 დეკემ. პოლონ. სოც. პარტიის სეიმის კლუბში [illegible] უთანხმოება გრაბსკის მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხში. კლუბის ოპოზიციონური ნაწილი მკაცრად ილაშქრებს კლუბის თავმჯდომარე ბერლიცკის წინააღმდეგ იმის გამო, რომ პოლ. სოც. პარტიის კლუბმა სახალხო დემოკრატებთან და ვიტოსის მიმდევრებთან ერთად ხმა მისცა სეიმის მარშალის რატაის სასარგებლოთ. ბერლიცკიმ უარი განაცხადა კლუბის თავმჯდომარის ადგილზე.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიის კონგრესი.

ვარშავა. 25 დეკემ. კრაკოვში 30 დეკემბერს გაიხსნება პოლონეთის სოც. პარტიის კონგრესი.

სხვადასხვა

ნორვეგია.

გაფიცვა.

ქრისტიანია. 23 დეკ. **მოლაპარაკება რკინის მრეწველთა და მუშებს შორის შეწყდა. გაფიცვა გრძელდება.**

ინდოეთი.

ბოიკოტი ინგლისის საქონელს.

ბერლინი. 24 დეკემბერი. ინდოეთის ნაციონალური კონგრესის საგანგებო კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონგრესის დადგენილება ინგლისის საქონლისათვის სასტიკი ბოიკოტის გამოცხადების შესახებ ამ ჟამად განუხორციელებელია; ამის განხორციელება შეიძლება „მხოლოდ" ავტომობილების, სურსათის, სარკეების და საოჯახო ნივთების მიმართ; ამ ბოიკოტის განხორციელება შეიძლება მხოლოდ თანდათანობით.

სპარსეთი.

ბრძოლა ნავთისთვის.

თეირანი. 23 დეკემბ. მთელი ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლა ჩრდილოეთ სპარსეთში ნავთის კონცესიის მისაღებად ნავთის კომპანიებს—„სტანდარტოილ" და „სინკლერ"-ს შორის. ბრძოლა „სინკლერის" კომპანიის გამარჯვებით დამთავრდა. სპარსეთის მთავრობამ უკვე მოაწერა ხელი შეთანხმებას.

საფრანგეთი.

მემარცხენე ბლოკის პროექტი.

პარიზი 25 დეკემბ. საფრანგეთის სოციალისტმა მუტმა ბრიუსელის გაზეთის „პეპლ"-ის თანამშრომელთან საუბარში გამოსთქვა აზრი მომავალ არჩევნებისათვის მემარცხენე ბლოკის შექმნის სასარგებლოთ. ბლოკში, მუტის აზრით, უნდა შევიდნენ ყველა მემარცხენე პარტიები—კომუნისტებიდან რესპუბლიკანელებამდე. მუტმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ მემარცხენე ბლოკი გაიმარჯვებს, სოციალისტები დათანხმდებიან მთავრობაში შესვლაზე იმ პირობით, თუ მათ დაუთმობენ საპასუხისმგებლო სამინისტრო ადგილებს. მუტის აზრს იზიარებს პოლ ბონკური.

მოწოდება გაფიცვისაკენ.

პარიზი. 25 დეკემბ. საფრანგეთის ახალგაზრდათა კომკავშირის გენერალურ მდივანს დიურნოს მიუსაჯეს 4 თვით დაპატიმრება გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებისათვის, რომლებშიც იგი მოუწოდებდა ჯარისკაცებს გაფიცვისაკენ,

ესპანეთი.

კომუნისტური მოძრაობა.

რომი. 27 დეკემბერი. მადრიდიდან მიღებულ ცნობის თანახმად, იქ აღმოჩენილ იქნა კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც ამტკიცებს ესპანეთში კომუნისტურ რევოლიუციონურ მოძრაობის არსებობას. ორგანიზაციას უნდა (დამახინჯებულია).—28 დეკემბერს ერთსა და იმავე დროს ესპანეთსა და პორტუგალიაში. ხელში ჩაიგდეს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ მრავალრიცხოვან კომუნისტურ ორგანიზაციების არსებობას სასპორტო საზოგადოებათა სახით.

მექსიკა.

მთავრობის ჯარების გამარჯვება.

ბერლინი. 27 დეკემბერი. ქალაქი კომლა დაკავებულია მთავრობის ჯარების მიერ, რომლებმაც წაიყვანეს რამდენიმე ათასი ტყვე. მეამბოხენი უკან იხევენ სან-მარკოსის მიმართულებით. მთავრობის ხელში გადავიდა აგრეთვე ტუხუაკანი, სადაც მოჰკლეს გენერალი ზიმიენტო.

კომინტერნში

კომინტერნის ალმასკომში

მოსკოვი. 24 დეკემბერი. კომინტერნის ალმასკომის სხდომაზე, შვეციის კომპარტიის ორივე ფრთის წარმომადგენელთა თანდასწრებით, მიღებულია რეზოლიუცია, რომლის შემდეგ კონფლიქტი შვეციის კომპარტიაში შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულათ, მით უმეტეს რომ ხენგლუნდმა, რეზოლიუციის მიღების შემდეგ უკან წაიღო თავისი განცხადება კომინტერნის ალმასკომიდან გამოსვლის შესახებ.

რეზოლიუცია დაწვრილებით არჩევს ყველა სადავო საკითხებს და შესაძლებლათ სცნობს კომინტერნის ალმასკომის მოქმედებათა ლოიალურ კრიტიკას, თუ იგი საკითხს ეხება არსებითად და არ გამოდის კომინტერნის ძირითად დებულებების ფარგლებიდან. ხენგლუნდი თავის კრიტიკაში არ იცავდა სრულ ლოიალობას და ზოგიერთ საკითხებში, განსაკუთრებით ნორვეგიის საკითხში, არსებით შეცდომაში ვარდებოდა. ნორვეგიის მუშათა პარტიის განხეთქილების დროს ხენგლუნდი საჯაროთ გამოდიოდა კომინტერნის ალმასკომის და, აგრეთვე, ნორვეგიის ახლათ შემდგარ კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. ამავე დროს იგი თავის ნებით გამოვიდა კომინტერნის ალმასკომიდან და ამ ნაბიჯის გადადგმამდე არ მიუღია არავითარი ზომა კომინტერნის ალმასკომთან შეთანხმების მისაღწევათ და არც უცნობებია შვეციის კომპარტიის ც. კ-სათვის თავისი გადადგომის შესახებ. ხენგლუნდის ამ საქციელმა შექმნა შვეციის კომპარტიის ფართე წრეებში მთელი რიგი მწვავე კონფლიქტებისა. შვეციის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის 3 წევრმა, რომლებსაც მხარს უჭერდა მთელი რიგი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების, კომინტერნის მხარეზე დადგენ და საიმედო გარანტიები მოითხოვეს კომინტერნის წინააღმდეგ ხენგლუნდის გამოსვლების ასალაგმავათ.

რეზოლიუცია არ მოითხოვს არავითარ დისციპლინარულ სასჯელს. იგი აღნიშნავს მხოლოთ ნამდვილ ფაქტებს და გამოსთქვამს რწმენას, რომ კომპარტიას შესწევს იმდენი ძალა, რომ საკუთარ საშუალებებით მოაგვაროს კონფლიქტი. რეზოლიუცია მიღებული იყო ალმასკომის ყველა წევრთა და შვეციის კომპარტიის დელეგატების ერთსულოვნებით, გარდა ერთი ჯგუფისა, რომელიც წარმოადგენს [illegible] შვეციის კომპარტიაში. ამ ჯგუფის სახელით ხენგლუნდმა განაცხადა, რომ ის მზათ არის წინადადება მისცეს შვეციის კომპარტიის ც. კ-ს შესწყვიტონ კამათი და სრულიათ მოგვარებულათ ჩასთვალონ პარტიული კონფლიქტი.

კომინტერნის ერთათ-ერთ სექციათ ნორვეგიაში ხენგლუნდი და მისი ამხანაგები სცნობენ მხოლოთ ნორვეგიის კომუნისტურ პარტიას.

ხენგლუნდი არის სკანდინავიის კომპარტიის წარმომადგენელი კომინტერნის ალმასკომში.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში

(27 დეკემბერი).

ჩერვონცები — — —	390,000
ინგ. სტერლინგ. ეფექტ.	382,000
ჩეკები	375,000
დოლარები ეფექტ.	87,500
ჩეკები	82.500
ოსმ. ქაღ. ლირა	53 500
იტალიური ლირა	2800
ფრანგული ფრანკი	4200
საბჭ. ფულის ნიშნები	15 ნახ.

მუშკოოპის ფასები

(27 დეკემბერი)

პური 1 ხარ.—1750 ათ., პური 2 ხარ—1500. ძროხის ხორცი—6.500 ათ. შაქარი რაფინადი—18,200 ათ., ფხვნილი შაქარი—11,500 ათ. ვერმიშელი—5250 ათ. ბრინჯი აღდ.—2800. ათ. კარტოფილი—500. ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(27 დეკემბერი).

პური 1 ხარ.—2500 ათასი პური 2 ხარ.—2000 ათისი ძროხის ხორცი 7 მილ. ცხვრის ხორცი 8 მილ. შაქარი რაფინ.—19 მ., შაქარი ფხვნილი 12,500—14 მ., ვერმიშელი—5500 6 მ. ბრინჯი აღდ.—3200 მ., კარტოფილი—800.

ბირჟის კვირეული.

(17—23 დეკემბ).

ამ კვირის განმავლობაში ბირჟის კრებებს დაესწრო ბირჟის 256 წევრი და 103 არა - წევრი. დადებულია გარიგებანი: საფონდო 211—სულ 47507 ჩერ. მან. თანხისა, ან 1554962000 მან. ამიერ-კავკასიის ბონებით და საქონლის 88638 ჩერ მან. ან 2854983450 მან. ბონებ.. როგორც საფონდო, ისე საქონლის გარიგებების ღირებულება შეადგენს 136.145 ჩერ. მან., ან 4.409.945.450 მან. ბონ.

მყიდველები იყვნენ: სახელ. დაწესებულებები—122, კოოპერატივები—22, საზოგ. ორგანიზაციები—6 და კერძო პირი—73; გამყიდველები: სახელ. დაწესებ.—208, საზ. ორგანიზაციები 5 და კერძო პირი—10 იყიდეს ვალიუტა: სახ დაწეს.—29110 ჩერვ. მანეთისა, კოოპერატ.—4750 მან, საზ. ორგანიზ.—940 და კერძო პირებმა 12707; გაყიდეს ვალიუტა; სახელ. დაწესებ. 36541, საზოგ. ორგ. 1690 და კერძო პირებმა—9976 მან. (კოოპერატივებს ვალიუტა არ გაუყიდიათ).

იყიდეს საქონელი: სახელ. დაწეს.—66268 ჩ. მან. კოოპერატ.—3016 მ., საზ ორგან.—3450 და კერძო პირებმა—15903 მ.; გაყიდეს საქონელი მხოლოდ სახელმ. დაწესებულებებმა—87228 მ. და კერძო პირებმა 1410 მანეთისა.

ბირჟის მიწოდება.

სინგაპურის პილპილი. კაკაო-ზეთი კაკაო (მარცვლოვანი). პარაფინი კვებრაზი ექსტრაქტი; მავთული რბილი. პურის სპირტი (300000 გრ.,) შვეიცარული ყველი; „კოესინდიკატ"-ის პროდუქცია; სალომასი, მზესუმზირას ზეთი, რუს. მანუფაქტურა-ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს; ს. მ. უ. ს. საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.); ნოვოროსის ცემენტი & ეტერნიტი; ყუბანის ფქვილი; ურალის რკინეულობა, ჩაი, აგური (ცეცხლ-მაგარი), საბზა; შაქარი რაფინ. და ფხვნილი რუს.

ბირჟის მოთხოვნილება.

ტეხნიკური ცხიმი; საბზა, ყურაგა ხორბალი, ღვინის ბოთლები; „კოესინდიკატ"-ის პროდუქცია; სალომასი; მზესუმზირას ზეთი; პორტლანდიის ცემენტი; ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო), ჰაჰის არაყი (1,000,000 გრად), ჩაი, ასანთი რუს.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(25 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	— 390.000,	60 კ.	— 23.400.000
2 „	— 780.000,	70 „	— 27.300.000
3 „	—1.170.000,	80 „	— 31.200.000
4 „	—1.560.000,	90 „	— 35.100.0000
5 „	—1.950.000,	1 მ.	— 39.000.000
6 „	—2.340.000,	2 „	— 78.000.000
7 „	—2.730.000,	3 „	—117.000.000
8 „	—3.120.000,	4 „	—156 000.000
9 „	—3.510.000,	5 „	—195.000.000
10 „	—3.900.000,	6 „	—234.000.000
20 „	—7.800.000,	7 „	—273.000.000
30 „	—11.700.000,	8 „	—312.000.000
40 „	—15.600.000,	9 „	—351.000.00
50 „	—19.500.000,	1 ჩერ.	390.000.000

ს. მ. უ. ს. სათბობი განყოფილება.

სათბობის განყოფილებაში ამჟამად იმყოფება შემდეგი წარმოებები: ტფილისში 5 ნავთის საწყობი, 15 საწვრიმალო დუქანი და 1 შეშის საწყობი. პროვინციაში: ტყიბულის ნახშირის მადნები, ბრიკეტის ქარხანა და კირის ქარხანა ტყიბულში და 4 განყოფილება: აჭარის, ქუთაისის, ტფილის-დუშეთის და სიღნაღის. ყველა წარმოებებში ნოემბერში ითვლებოდა—ტფილისში—52 მუშა და 68 მოსამსახურე, სულ 120 კაცი. პროვინციალურ წარმოებებში—1 მუშა და 41 მოსამსახურე, სულ კაცი. ტფილისის წარმოებებში აღნიშნულ თვის განმავლობაში გამოცხადნენ მუშაობაზე—მუშები—50 და მოსამსახურენი—64 (საშუალო). მუშაობა სწარმოებდა 25 დღე. სამუშაო დღეების რაოდენობა თვეში უდრის მუშებისთვის—1250 დღე, მოსამსახურეებისთვის—1600 დღე,—სულ 2870 დღე. საშუალო ხელფასი (საქ. მანეთებში)—მუშებისთვის—34 მ. 77 კ., მოსამსახურეებისთვის—42 მ. 18 კ. ნოემბრის თვის განმავლობაში ნავთის ნაწარმოების ბრუნვა გამოიხატება ასე: პირველ ნოემბრისთვის დარჩა წინა თვიდან ნავთის სხვადასხვა პროდუქტები მაზუთი 67,386 ფუთი, მოტორის ნავთი—15.502 ფ. კეროსინი 12.46 ფ. ბენზინი 399 ფ., მანქანის ზეთი 2042 ფ., და გუდრონი 613 სულ 98.407 ფ., ნოემბრის განმავლობაში შემოვიდა: მაზუთი 74.000 ფ. მოტორის ნავთი—35.623 ფუთი, კეროსინი—20.662 ფ., ბენზინი—1.984 ფუთი, მანქანის ზეთი 4010 ფუთი. სულ 136,300 ფ. მაშასადამე წინა დარჩენილის და შემოსულის რაოდენობა უდრის 234.707 ფ. ამ რაოდენობიდან იმავე თვეში გაშვებულია და განაწილებული როგორც ტფილისში ისე პროვინციაში: მაზუთი 75.21 ფ. მოტორის ნავთი 24-465 ფ. კეროსინი 30.365 ფ. ბენზინი 2,66 ფ., მანქანის ზეთი 2.520 ფ. და გუდრონი 164 ფ. სულ 135.890 ფ. პირველ დეკემბრისათვის დარჩა [illegible] ფ.

გაშვებული ნავთის პროდუქტების ღირებულება უდრის 128,441 მან.

რაც შეეხება ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნებს, საანგარიშო თვის განმავლობაში შემუშავებულია სხვადასხვა გვარის ნახშირი 398,605 ფ. გამოშვებულია სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისათვის—202,798 ფუთი, კერძო პირთ—152 ფ. უმეტესი ნაწილი აღებულია ნოემბერში—რკინის გზის მიერ—200 ათასი ფ.; ტრამვაიმ მიიღო 60,000 ფუთი.

ფასების დაკლება მარილზე.

მარილის ფასების დაწევის მიზნით ა. კ. შინა-ვაჭრობის კომისიამ დაადგინა: კულინის მარილის საბითუმო—გამოსაშვები ფასი ყველა მომხმარებელთათვის—„სოლესინდიკატ"-ის საწყობიდან ბაქოში, გადაინიშნოს 42 ჩერ. კაპ. ფუთზე აღმოსავლეთ საქართველოსთვის საბითუმო ფასები იმავე მანძილზე ყველა მომხმარებლებისათვის, ფრანკო-ვაგონი აღმოსავლეთ საქართველოს რკინის გზის ყველა სადგურებზე, განსაზღვრულია—61 კაპ. ფუთში. საბითუმო ფასი ფრანკო—სინდიკატის საწყობი—65 კ. ფუთში, როდესაც იყიდება 25 ფუთზე მეტი, და 69 კ. —როცა იყიდება 25 ფუთზე—ნაკლები.

ცეკავშირის საბითუმო ფასები აღმოსავლეთ საქართველოს კოოპერატივებისთვის რკინის გზის ყველა სადგურებამდე დანიშნულია 64 კ. ფუთში; ცეკავშირის საბითუმო ფასები თავის განყოფილებების საწყობებიდან აღმ. საქართველოს სადგურებიდა—68 კაპ. ფუთში.—როდესაც იყიდება 25 ფუთზე მეტი და 72 კაპ., როდესაც იყიდება 25 ფუთზე ნაკლები. მარილის საწვრიმალო ფასი ტფილისში დაწესებულია 72 კაპ. ფუთი, ხოლო აღმოს. საქართველოს დანარჩენ ადგილებში 86—1 მან. 32 კაპეიკამდე იმისდა მიხედვით, თუ რა საზღვარზე იმყოფება ესა თუ ის ადგილი უახლოეს საწყობიდან.

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

სიმინდის ექსპორტი

სასოფლო მეურნეობის და სოფლის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის აღსადგენად ა. კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა: წინადადება მიეცეს ცეკავშირს, რათა მოაწესრიგოს სოფლებში სიმინდის შესყიდვა, საზღვარგარეთ გასატანად.

სიმინდის შესყიდვა პირდაპირ გლეხკაცებისაგან უნდა სწარმოებდეს მომხმარებელ საზოგადოებების საშუალებით. სიმინდის მტკიცე ფასი დაწესებულია ფუთზე 50 ჩერ. კაპ. ფრანკო-საწყობი რკინის გზის სადგურზე. ამ ოპერაციის დამთავრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რეალიზაციის შემდეგ, მთელი წმინდა მოგება შეადგენს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ფონდს, რომელიც გადაეცემა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს განკარგულებაში

ადგილობრივი გადასახადების გაუქმება.

ა. კ. უმაღლესმა ეკონ. საბჭომ დაადგინა—მოიხსნას საქართველოში შემდეგი ადგილობრივი გადასახადები, რომლებიც ეწინააღმდეგება ა. კ. ცენტ. აღმ. კომიტ. და ა. კ. სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტს (2 აპრ. 1923 წ.) ა) 2 პროცენტიანი გადასახადი საგლეხო კომიტეტების სასარგებლოდ, დაწესებული სათემო აღმასკომების მიერ ყველა გარიგებებზე, რომლებიც ხდებოდა სიმინდზე; ბ) ერთ პროცენტიანი გადასახადი სამაზრო და სათემო აღმასკომების სასარგებლოდ, საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის და 3) გადასახადი საზოგადო სასწორების ხმარებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება ან კერძო პირი, რომლებმაც შეკრეს გარიგება სიმინდზე. არ მოისურვებენ სასწორის ხმარებას.

კოოპერაცია

ორიოდე სიტყვა ჩვენს კოოპერაციაზე

ჩვენს კოოპერატიულ ცხოვრებას უკვე დაეტყო ორი გარკვეული მიმდინარეობა: ერთია სამომხმარებლო კოოპერაცია და მეორე წარმოებითი კოოპერაცია, რომელიც უფრო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას წააგავს.

ერთიც და მეორეც განვითარების გზას ადგია, ორივე ცდილობს თავის მოქმედების ფარგლის გაფართოებას.

ამიტომ საფიქრებელია, რომ თვითეული მათგანი ვერ შეუფარდებს თავის პირდაპირ მიზნებს თავის მოქმედებას და მაშინ შესაძლებელია, რომ ეს ორი ჯური კოოპერაცია ვერ შეთანხმდებიან ერთმანეთში და სარგებლობის მოტანის ნაცვლად ზიანს მიუტანენ როგორც თვით კოოპერაციის იდეიას, ისე თვით საქმეს.

საჭიროა. რომ თვითეულმა მათგანმა განსაზღვროს თავის მოქმედების ფარგალი და ამ ფარგალში უკიდურესობამდე განავითაროს თავ თავის მოქმედების საგნები, რომელნიც თანაბრად ემსახურებიან ერთ საერთო მიზანს, ჩვენი ქვეყნის ქონებრივად აყვავებას.

ყველა ჯურის კოოპერაციას—სამომხმარებლო იქნება ის, თუ მწარმოებელთა ან შემნახველ-გამსესხებელი ან შემსყიდველი—ყველას დიდი ასპარეზი აქვს ჩვენ ქვეყანაში და ერთი-მეორეში არევა, ერთი ჯურის კოოპერაციის საქმის დაკისრება მეორე ჯურის კოოპერაციის მიერ იქნება საერთო საქმისათვის ხელსაყრელი და მიზანშეწონილი.

ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ თუ, მაგალითად, შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ რაიმე წარმოების მოწყობა იკისრა, რომელიც შეადგენს საწარმოვო კოოპერაციის პირდაპირ საგანს, კარგად წაიყვანოს საქმე. ან კიდევ სამომხმარებლო კოოპერაციამ მოინდომოს იმისთანა საგნების დამუშავება, რომელიც მწარმოებელ კოოპერაციის და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთავარ მიზანს შეადგენს.

ასევე ითქმის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, თუ ამან მაგალითად მთა მადნეულობის დამუშავება მოინდომა.

სხვადასხვა ხასიათის კოოპერაციების მიერ საგნების არევ-დარევის მაგალითები სხვა ქვეყნებშიაც ყოფილა და ყველგან არასასურველი შედეგები მოჰყოლია.

ჩვენი კოოპერაცია, რომელიც დღეს სხვადასხვა სახეს ღებულობს, ამ თავითვე უნდა შეეცადოს, რომ ამისთანა შეცდომა არ ჩაიდინოს და ყველამ თავთავიანთ მოქმედების ფარგალში იმუშაოს.

ჩვენი ქვეყანა განვითარების გზას ადგია, ჩვენი ხალხის ცხოვრება გართულდა და ერთი ჯურის კოოპერაცია მას უკვე ვეღარ დააკმაყოფილებს და ვერც გასწვდება.

ამჟამად ჩვენ მოწმეები ვართ ჩვენში ჯერ-ჯერობით ორი ხასიათის კოოპერაციის აღორძინებისა, რომელშიაც შედიან ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა ელემენტები და სხვადასხვა საწარმოვო ძალები, მაგრამ იმის მიხედვით, რამდენადაც ჩვენი ცხოვრება ეკონომიურად წინ წაიწევს და გართულდება, იმდენად ჩვენი კოოპერატიული მოძრაობაც გართულდება და მასში ვეღარ მოთავსდებიან ისეთი დარგის კოოპერატივები, რომლებიც დღეს წარმოებითი ან სამომხმარებლო კოოპერაციაში არიან მოთავსებული სისუსტის გამო.

ამიტომ ჩვენი კოოპერაციის ორივე მთავარი მიმდინარეობა—სამომხმარებლო და წარმოებითი—ამთავითვე მზად უნდა იყვნენ ამისთანა დანაწილებისათვის და თავიანთ ფუნქციების ერთი-მეორეში არევდარევას უნდა ერიდნენ.

ნ.

ცეკავშირის ყრილობა

ყრილობის გახსნა და პრეზიდიუმის არჩევნები

25 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე წითელარმიელთა კლუბის დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს კოოპერატივის რწმუნებულთა მეოთხე ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდა 200 მეტი დელეგატი. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, მ. ტოროშელიძე, ლ. დუმბაძე, ლ. ქართველიშვილი, ერისთავი, კ. ცინცაძე, ყურულაშვილი, ქაცარავა, გ. ნაფეტვარიძე, ისკანდერ ბერძენაძე, ვ ერქომაიშვილი, ს. მაჭავარიანი და ნაცვლიშვილი. სამდივნოში: ელ. კალანდაძე, ალ. სვანიძე და შ. ჩხეიძე. სამანდატო კომისიაში: კილასონია, ვ. ერქომაიშვილი, მაისურაძე, ბურიკაშვილი და კახაძე.

ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1922 წლის ანგარიშის დამტკიცება, გამგეობის მოხსენება 1923 წ. მოქმედების და ამავე წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, სარევიზიო კომისიის მოხსენება, 1924 წ. მუშაობის გეგმა, საორგანიზაციო საკითხები, მიმდინარე საკითხები კოოპერაცია და „მაკრატლის“ პრობლემა, გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მისალმებანი.

რეგლამენტის მიღების შემდეგ იწყება მისალმებანი ყრილობისადმი. საქართველოს კომპარტიის ცეკას და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ვ. **ერქომაიშვილი**, რომელიც აღნიშნავს ღრმა განსხვავებას კოოპერაციის მდგომარეობაში წინეთ და ეხლა.

ჩვენ არ გვახსოვს ისეთი ხანა, როდესაც მთავრობის დახმარება ჰქონოდეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს ისე როგორც დღეს. საბჭოთა ხელისუფლება გამსჭვალულია იმ აზრით, რომ კოოპერაციას უნდა დახმარება და ამას თქვენ გაიგებთ გამგეობის თავმჯდომარის მოხსენებიდან და დაინახავთ, თუ რა დიდ დახმარებას აძლევდა ამ ორგანიზაციებს მთავრობა.

საპაიო გადასახადი 10 მანეთი ოქროთი, რომელიც ქონდა გლეხს შეტანილი მენშევიკების დროს დავიდა 7 კაპეიკამდე ე. ი. სრულიად დაკარგა მნიშვნელობა. რასაკვირველია ასეთი თანხით ვერაფერს გავაკეთებდით, მაგრამ ის დახმარებანი და ის ენერგია, რომელსაც ხარჯავს კომუნისტური პარტია თქვენ დახმარებასთან ერთად არის თავდები იმისა, რომ კოოპერაციას დიდი მომავალი აქვს საქართველოში.

ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. მელიქოვი, აჭარიდან ყრილობას ესალმება ამხ. ისკანდერ ბერძენაძე, რუსეთის კოოპერატიული ბანკის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ბალტინი, რომელიც აშუქებს კრედიტის მნიშვნელობას კოოპერაციაში, და ამბობს, რომ კოოპერატიული ბანკი ადგილობრივი კოოპერაციის დახმარებით შესძლებს სამეურნეო კრიზისის დაძლევას და გახსნილი „მაკრატელის“ დავხურვას.

მისალმების შემდეგ მ. ტოროშელიძე წინადადებას იძლევა მიიღოს ყრილობამ 1922 წლის ანგარიში, რომელიც დაბეჭდილი დაურიგდა დელეგატებს. ყრილობა ღებულობს ამ ანგარიშს სარევიზიო კომისიის შესწორებით.

26 დეკემბრის დილის სხდომა.

გამგეობის მოქმედება 1923 წელში.

ცეკავშირის აღდგენა.

მეორე სხდომაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ტოროშელიძე წარსულ წელში არჩეულ გამგეობის მოქმედების შესახებ. როდესაც ჩვენ ცეკავშირში შევედით ამბობს ის, იქ მხოლოდ ცარიელი კედლები და მევალეები დაგვხვდნენ. იმ დროს ცეკავშირთან ყველას გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი, არავინ მას ანგარიშს არ უწევდა. ჩვენ შევსძელით ცეკავშირის დიდ სარბიელზე გამოყვანა, აღვადგინეთ კავშირი სახელმწიფო ორგანოებთან, კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და მოვიპოვეთ კრედიტი. დღეს ჩვენ ანგარიშს გვიწევენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის გარეთაც როგორც მაგ. მოსკოვში.

აპარატის მუშაობა.

გამგეობის ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდა. ცხრა კაციდან მუშაობდა მხოლოდ ხუთი კაცი.

ცეკავშირის აპარატი გაბერილი დაგვხვდა, აურაცხელი განყოფილებები და წამოწყებანი არსებობდა, რომლებიც სრულებით ვერ ამართლებდნენ თავის დანიშნულებას და ზედ მეტი იყო მათი არსებობა. ჩვენ გავამარტივეთ აპარატი და შევეცადეთ შეგვექმნა ახალი კადრი მუშაკებისა. დავაარსეთ საკოოპერაციო კურსები, რომელზედაც მეცადინეობდნენ 30 კაცი, მაგრამ სამწუხაროდ ამ ამხანაგების გამოყენება პროვინციაში არ მოხერხდა, ბევრმა მათგანმა არ ისურვა იქ მუშაობა და ტფილისის დაწესებულებებს შეაფარეს თავი.

ცეკავშირის დამოკიდებულება ევროპის კოოპერაციასთან.

საქართველოს კოოპერაცია ევროპის ყურადღებასაც იპყრობს. იქ დღემდე დახეტიალობს ცნობილი გუგუშვილი, რომელიც ისევ სთვლის თავის თავს საქართველოს კოოპერაციის წარმომადგენლათ და ათასგვარ სიცრუეს ავრცელებს საქართველოს კოოპერაციის შესახებ. მე მომიხდა ევროპაში გამგზავრება საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსთან, ჩვენი დამოკიდებულების გამოსარკვევად. მაგრამ მხოლოდ მოსკოვში მოვახერხე მის წარმომადგენელთან შეხვედრა ცეკავშირის ძველი გამგეობის თავმჯდომარე ცაგარელთან ერთად. ამ მოლაპარაკების შემდეგ კოოპ. ალიანსის წარმომადგენელი დაგვპირდა საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირთან საქართველოს კოოპერაციის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას.

მუშაობა საწარმოო დარგში.

შემდეგ ამხ. ტოროშელიძე გადადის ცეკავშირის მუშაობის დახასიათებაზე საწარმოო დარგში და ამბობს, რომ ახალმა გამგეობამ ძველი ქარხნებიდან და წამოწყებებიდან დასტოვა მხოლოდ ისინი, რომლებიც სიცოცხლის ნიშანწყალს ატარებდენ და რაიმე შემოსავლის მოცემის იმედს იძლეოდენ. მთელი რიგი ქარხნებისა კა უფრო მოვალონიერეთ, როგორიცაა გორის საკონსერვო ქარხანა, სტამბა და სხვები.

საინსტრუქტორო მუშაობა პირველ ხანებში მოისუსტებდა, შტატიც წინანდელთან შედარებით მცირეა. ამ განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია სასოფლო მეურნეობას. ჩვენ მიერ დაარსებულია მთელი რიგი სამეურნეო ამხანაგობებისა, როგორიცაა მეხილეთა ამხანაგობა „წითელი ქართლი“, მეთამბაქოეთა ამხანაგობა „წითელი ლაგოდეხი“, მესაქონლეთა ამხანაგობა და სხვა.

სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა განაღდება.

დიდი ყურადღება მივაქციეთ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებისათვის ბაზრის მოპოვებას. შევისყიდეთ ღვინოები და გავიტანეთ მოსკოვში, ვყიდულობდით აგრეთვე სიმინდს, თხილს, აბრეშუმის პარკს და სხვა. დავამზადეთ დაახლოებით 20.000 ფუთი ხმელი პარკი, რომელიც უკვე გაიგზავნა საზღვარგარეთ. ნაკლები ღირსების პარკიდან ძაფის ამოსაღებათ აავამუშავეთ სამტრედიის ქარხანა, მოვაწყვეთ აგრეთვე აბრეშუმის ქსოვილის პატარა ქარხანა.

სავაჭრო ოპერაციები.

ცეკავშირის სავაჭრო ბრუნვა თანდათან პროგრესიულად იზრდებოდა, გარდა აგვისტოს და ნოემბრის თვეებისა. მთელი წლის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა თითქმის ორ მილიონს უდრიდა; ეს ბრუნვა უმთავრესად 77 პროც. ეპოების საშუალებათ ხდებოდა, შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებები და სხვა. ცეკავშირის აპარატის შენახვას ბრუნვის სამი პროცენტით მეტი უნდებოდა. მომავალში უნდა ვეცადოთ დავიყვანოთ ეს ხარჯები სამ პროცენტამდე, რაც ნორმალურია. ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებზე დიდი ვალები ითვლება, თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი, საშუალოთ რომ ავიღოთ თითო ამხანაგობაზე მოდის დაახლოებით 4,000 მანეთი. სამწუხაროდ კოოპერატივებს სესხად თუ მივეცით მიაქვთ ჩვენგან საქონელი, ისე კი ხშირად მიმართავენ არაკოოპერატიულ ბაზარს, ტრესტებს და სხვა დაწესებულებებს. ცეკავშირის სავაჭრო მოქმედებაში მომხსენებელი საზარალოდ სთვლის გამგეობის წევრ სპირიდონოვის ოპერაციებს მოსკოვში აგვისტოში, როდესაც მან გამგეობის დავალების გარეშე ზედმეტი და არა პირველი მოთხოვნილების საქონელი შეიძინა, როგორიცაა პარფიუმერია და სხვა ძვირფასი საგნები. ამ გარემოებამ გამოიწვია სპირიდონოვის გასვლა გამგეობიდან.

საერთოდ ცეკავშირის გამგეობამ შესძლო ჩვენი კოოპერაციის დიდ სარბიელზე გამოყვანა და მისი მუშაობის სწორი გზით წარმართვა. მომავალში ჩვენ უნდა გავამაგროთ კოოპერატიული აპარატი, დაუახლოვოთ იგი მომხმარებელს და გავაძლიეროთ მისი საწარმოვო დარგები.

პროფკავშირებში

გემო-კვების კავშირის მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

კვირას, 23 დეკემბერს როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში გაიხსნა გემო-კვების მუშაკთა კავშირის სრ. საქართველოს მე 3-ე ყრილობა.

ყრილობა გახსნა კავშირის მდივანმა ამხ. ავეტისოვმა, რომელმაც ცენტრალური გამგეობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა.

საქ. კომ. პარტიის ცეკას და ტეკას სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. მარკარიანცი, სრ. რუსეთის გემო-კვების მუშაკთა კავშირის ცენტ. კომიტეტიდან პრეზიდიუმის წევრი ამხ. გუსოვსკი, ს. პ. კ. საბჭ. სახელით პრეზიდიუმის წევრი ამხ ატოევი, ახ. კომ. კავშირის სახელით ამხ. სარქისოვი.

პრეზიდიუმის არჩევა.

პრეზიდიუმში შედიან შემდეგი ამხანაგები: გუსოვსკი, ავეტისოვი, ფრიდონოვი, ხაჩიკიანცი, პეტროვა, ავანოვი და გურული, სამანდატო კომისიაში ამხ. ამხ. ვრდოიანცი, ოგანოვა და კისელიოვა, სამდივნოში ამხ. ამხ. როტინოვი და იაკუბოვა.

რეგლამენტის გამომუშავების შემდეგ, ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი დღის წესრიგი 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) კავშირის ცეკას ანგარიში, 3) ცენტ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) სამეურნეო ორგანოების საანგარიშო მოხსენება, 5) საორგანიზაციო საკითხი, 6) სატარიფო ეკონომიური საკითხი და უმუშევრობა, 7) კულტურულ საგანმანათლებლო საკითხი, 8) კოოპერაცია, 9) ცენტრ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე-6 და გემო კვების მუშაკთა კავშირის სრ. რუსეთის მე-5 ე, ყრილობისათვის დელეგატების არჩევა.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მარქარიანცი, რომელიც თავის ვრცელ მოხსენებაში ახასიათებს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნების შინაურ და მათი კოლონიების მდგომარეობას, დაწვრილებით ეხება გერმანიის დღევანდელი ამბებზე და ხსნის გერმანიის სოციალისტური რევოლიუციის დაგვიანებითი მიზეზებს.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ყრილობა გამოსთქვამს ურყევ რწმენას რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ყრილობა იხურება საღამოს 8 საათ.

იმავე დარბაზში სხდომის შეწყვეტის შემდეგ დელეგატებისათვის საკუთარი ძალებით გაიმართა წარმოდგენა რუსულ და ქართულ ენებზე.

საბინაო საკითხი და სახლების შენების საქმე ტფილისში

არც ერთი ქალაქი ა. | კავკასიში ისე არ იზრდება, როგორც ტფილისი, მიუხედავათ ამისა სახლების შენება ჩვენს ქალაქში შეჩერებულია.

სახლების 91,3 პროცენტი საჭიროებს რემონტს. მათ შორის ძირითად შეკეთებას მოითხოვს 56,5 პროცენტი, ერთი სიტყვით (სახლების დანგრევის გამო) თან და თან მცირდება ის საცხოვრებელი სივრცე, რომელიც ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს ტფილისის მოსახლეობას. ამის უმთავრესი მიზეზია სახლების სიმცირე.

როგორი ბინების მოთხოვნილებაა მუშათა კლასის მიერ?

ტფილისში 130 მუშა-მოსამსახურე ირიცხება თავიანთი ოჯახებით ერთ სულზე თუ 25 ოთხკუთხ ადლს ვიანგარიშებთ, იმ შემთხვევაში, მუშა-მოსამსახურეთა (თავიანთი ოჯახით) უზრუნველსაყოფად დაგვჭირდება 3 მილიონიდან—4 მილიონამდე ოთხკუთხი ადლი. მიუხედავად ამისა მათ (თუ სულზე საშვალოთ 18,9 კვად. ადლს ვიანგარიშებთ) უკავიათ არა უმეტეს 2,500 ათას ოთხკუთ. ადლისა (1922 წელს მომხდარ გამოკვლევის მიხედვით). მაშასადამე მუშა მოსამსახურეების სავსებით დასაკმაყოფილებლად ჩვენ გვჭირდება საცხოვრებელ სივრცის გადიდება. ერთ მილიონ ოთხკუთხ ადლამდე. მოკლე დროში ასეთი სივრცის შოვნა ძნელია, შეუძლებელია, თუ არ ავაგებთ ახალ შენობებს, მაგრამ ცოტა რამის გაკეთება მაინც შეიძლება. გასულ წელს მოხდენილი იყო დაწესებულებათა გამოკვლევა სამხედრო დაწესებულებათა გამოკლებით, ყველა საბჭოთა, პარტიულ და საზოგადო დაწესებულებებს უჭირავთ 410707 კვადრ. ადლი. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი დაწესებულებებში 43,843 სულს უდრის.

თუ დაწესებულებაში ერთ მოსამსახურეზე მივიღებთ მოსკოვის ნორმას (19 ოთხკუთხი ადლი), იმ შემთხვევაში ჩვენს დაწესებულებებში 43,843 მუშა-მოსამსახურეზე სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნება 387,857 ოთხკუთხი ადლი.

მაგრამ ამ დროს განმავლობაში რამოდენიმეჯერ მოხდა შტატების შემცირება, თუ ამასაც მივიღებთ მხედველობაში, დაგვჭირდება კიდევ ნაკლები სივრცე, დაახლოვებით 300,000 კვადრ. ადლი.

მაშასადამე, დაწესებულებათა ნორმამდე შევიწროება მოგვცემს 60—ათას კვადრატ ადლს; დაახლოვებით 40 ათას კვადრატ ადლს მოგვცემს სამხედრო დაწესებულებები. ამას გარდა საქმიანობის სრულიად შეუფერხებლად შეიძლება ტფილისში დაბანაკებულ ზოგიერთი დაწესებულების გადაყვანა სხვადასხვა ადგილებსა და ქალაქებში. განთავისუფლებულ სახლებში შეიძლება ჩავასახლოთ მუშები.

აი ზომები, რომლის გადაჭრითაც შეიძლება მომუშავე ელემენტების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფა.

მაგრამ საქმე ამით არ ამოიწურება. თუ საქ. სახ. კომ. საბ. უკანასკნელ დეკრეტის თანახმად, ნორმად 25 კვ. ადლს, ვიანგარიშებთ იმ შემთხვევაში მთელ მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ტფილისში საჭირო აოლი საცხოვრებელი სივრცის 5.819 250. კვადრატი.

1922 წ. 10 ათას, სახლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გამოირკვა, რომ საშუალოდ სულზე მოდის 20,3 კვად. ადლი სავრც. აქედან ტფილისის მოსაქლეობას, მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების გამოკლებით 102.774 მცხოვრებს უკავია 2.086.342 კვადრატი ადლი მთლად ტფილისში კი არის 4.543.312 კვად. ადლი საცხოვრებელი სივრცე. ამ რიგათ ტფილისში საცხოვრებელ სივრცის დეფიციტი 1.276.038 კვადრატ ადლს უდრის, ანუ 42.534 ოთახს, თუ ერთ ოთახზე ვიანგარიშებთ საშვალოთ 30 კვადრატ არშინს.

რასაკვირველია, აღნიშნული დეფიციტის შევსება რაიმე საბინაო დეკრეტით შეუძლებელია. რადიკალური გადაჭრა საკითხისა სახლების აღმშენებლობისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნა იქმნება. საქ. სახ. კომ. საბჭოს უკანასკნელი დეკრეტი და საცხოვრებელ სივრცის ტარიფიკაციის შესახებ. ტფილისის საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილება არის სტიმული სახლების მეურნეობის აღდგენისათვის და სახლის პატრონთ დასაინტერესებლად ბინების მოვლის საქმეში. აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქალაქის კომუნალურ ბანკი, რომელიც ამ მოკლე ხანში მოეწყო. კერძო ინიციატივის წაქეზება ხელს შეუწყობს სახლების აღმშენებლობას.

ჰიდროელექტრონის სადგურის დამთავრებით ტრამვაის ხაზის გადიდების საკითხიც გადაწყდება.

კოჯორი და განაპირა სოფლები უნდა შეუერთდენ ტფილისს არა მარტო გზებით, არამედ უნდა დაუკავშირდეს ქალაქს ადმინისტრატიულად და ეკონომიურად. ამას შეუძლია გაადიდოს აღმშენებლობის ტერიტორია და საცხოვრებელი სივრცე ტფილისში.

ა. ქ.

გურიის რკინის გზის გახსნა

ტფილისიდან ნატანებამდის

25 დეკემბერს გურიის რკინისგზის გახსნაზე მიპატიჟებულმა სტუმრებმა თავი მოვიყარეთ ტფილისის სადგურზე. საღამოს 7 საათზე ყველანი სადგურზე ვართ. ვიცდით. უკვე 9 საათია და მატარებელი ჯერ კიდევ არ გასულა. ათის ნახევარზე გავექანეთ გურიისაკენ.

მოგვცეს ვაგონი № 18. გაზეთების წარმომადგენლები ყველანი ერთ კუპეში მოვხვდით. აქვე არის გაზეთების კანტორის გამგეც. ვხუმრობთ: გურიაში უსათუოდ გამოუშვებთ ეხლა გაზეთს და ტფილისს კონკურენციას გაუწევთო...

26 დეკემბერს, დილის ათის ნახევარზე ჩავედით ნატანებში.

ნატანებში

გზის გახსნა.

აქ არიან აჭარისტანის სტუმრები: მთავრობის, ცაკის და პროფკავშირთა წევრები.

თავი მოუყრია გლეხობასაც. ეს ადგილი ასახსენელიცაა: ის მთელი 30—40 წლის განმავლობაში ოცნებობდა ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზაზე და ეხლა ხედავს ამ ოცნების განხორციელებას. გზის დასაწყისთან ამართულია ლამაზი „არკა“, დროშებით მორთული. „გაუმარჯოს საბჭოთა აღმშენებლობას“—ამშვენებს წარწერა „არკას“.

ამხ. ფილიპე მახარაძე საქართველოს მთავრობის სახელით ესალმება გლეხობას და ამბობს, რომ ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანაში ყველაზედ უფრო აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის აშენდა მუშების და გლეხების თანხით, თაოსნობით და მუშაობით. მუშებმა დაიწყეს ეს საქმე და სახელოვნადაც დაამთავრესო.

მიტინგი ტაშისცემით და მუსიკა „ინტერნაციონალით“ უპასუხებს ამხანაგ ფილიპეს. შემდეგ ის ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზას გახსნილად აცხადებს და მაკრატლით სჭრის ლიანდაგის ორმახზე გადაბმულ წითელ ლენტს.

გაისმის „ვაშას“ ძახილი და გაუმარჯოს ჩვენს ბელადებს ლენინს, ტროცკის, ჯუღაშვილს, მახარაძეს და ორახელაშვილს...

სრულ თორმეტის ნახევარზე წითელი დროშებით მორთული ორთქლმავალი შესძგა გურიის რკინის გზაზე და ნელ ნელა დაიძრა ოზურგეთისაკენ.

გზაში მატარებელი რამდენჯერმე ჩერდება: ვათვალიერებთ ახალ გზას, სად. მერიის ასაშენებელ ადგილს და მასალას, მდ. სკურდუმის, ნატანების და ბოგილოს ხიდებს. ყველაფერი ლამაზათაა, ყველაფერი მშვენივრად. ვეკითხებით გურიის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ანდრო დოლიძეს: სად. გაიყვანთ შემდეგში ლიანდაგს, რომელ მთებს დაიპყრობთ? ირკვევა, რომ აპირებენ მალე შეუდგნენ ლიანდაგის გაგრძელებას ჩოხატაურის მიმართულებით.

2 საათზე ოზურგეთში ვართ.

ზეიმობა ოზურგეთში.

აქ თავი მოუყრია დიდძალ საზოგადოებას, რომელიც მოუთმენლად მოელის მიტინგის გახსნას. მატარებლის მისვლას „ვაშას“ ძახილით ესალმებიან. აქ არიან ოზურგეთის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი, მოწაფეები, წითელი არმიის ნაწილები, ადგილობრივი ხელისუფლება, პარტდაწესებულებების, პროფკავშირების და სხ. წარმომადგენელნი; ამხ. **ანდრო დოლიძე** მიტინგს გახსნილად აცხადებს. ის ამბობს: ჩვენი დიდი ხნის ნატვრა ასრულებულია. ოცნება ფაქტად იქცა. ჩვენ გავაგრძელებთ ამ გზას და ჩოხატაურში შევიჭრებით. (მქუხარე ტაში) ვაშა იმ მთავრობას, რომელმაც მოგვცა ეს გზა, ვაშა გამარჯვება საბჭოთა აღმშენებლობას. (ტაში).

სიტყვა ეძლევა ამხ. **ფილიპე მახარაძეს**, რომლის გამოსვლას მიტინგი ოვაციებით ხვდება. ის მოუთხრობს გლეხობას საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, გლეხთა გაჭირვებაზე და მიუთითებს იმ ზომებზე, რომლებიც მიღებაცაა საჭირო.

შემდეგ ამხ. **შალვა ელიავა** ესალმება გურულებს საქართველოს მთავრობის სახელით და უხსნის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო და საშინაო მდგომარეობას.

— მე აგრეთვე დავალებული მაქვს მოგილოცოთ გზათა სახალხო კომისარიატის სახელით. ის მომავალშიაც გპირდებათ ყოველგვარ დახმარებას დარწმუნებული, რომ შემდეგშიაც გამოიჩენთ ინიციატივას—განაცხადა ამხ. ელიავამ.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მიტინგს ესალმება ამხ. **მამია ორახელაშვილი**, რომელიც ამბობს, რომ ამ გზას აქვს მნიშვნელობა მთელი ამიერ-კავკასიისათვისო. ჩვენ ვაქცევთ დიდ ყურადღებას ერების კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს არ შეეძლო გვერდი აეხვია გურიის რკინის გზის გაყვანისათვის, მან მიიღო აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში და თქვენი დახმარებით კიდეც დააგვირგვინა. ვაშა თქვენს მხნეობას, სიმტკიცეს და აღმშენებლობას—ამთავრებს ამხ. ორახელაშვილი მქუხარე ტაშის ქვეშ.

ამხ. თახხიმ **ხიმშიაშვილი**, რომელიც ესალმება მიტინგს აჭარისტანის ხელისუფლების სახელით, მოუთხრობს გურულებს იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობდა აჭარლებსა და გურულებს შორის ძველად და რომელიც არსებობს ეხლა.

ის ამბობს აგრეთვე იმ დახმარებაზე, რომელიც [illegible] გურიის რკინის გზას აჭარისტანის ფუხარა ხალხმა და მუშებმა.

ამხ. ხიმშიაშვილის შემდეგ რკინის გზელთა პროფკავშირის სახელით ლაპარაკობს ამხ. **ნოე ლეჟავა** რის შემდეგ ამხ. **პოზდეევი**, რკინის გზის უფროსი ლაპარაკობს იმ ზომებზე, რომლებიც მიიღო რკინის გზის სამმართველომ.

მიტინგის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბათომის სანაპირო მუშების წარმომადგენელმა ამხ. **დოლიძემ**, რომელმაც გურულებს მხურვალე სალამი გადასცა სანაპირო მუშების სახელით.

ამის შემდეგ გამოვიდა ადგილობრივი მცხოვრები, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა აღმშენებლობის უდიდესი მნიშვნელობა.

მისალოცი დეპეშების წაკითხვის შემდეგ მიტინგი დაიშალა და მიპატიჟებული სტუმრებისათვის გაიმართა ბანკეტი.

საღამოს შვიდ საათზე მატარებელი დაიძრა უკან, ტფილისისაკენ.

დ. დ—ძე.

ამხ. მიხა ცხაკაიას დეპეშა

ვინაიდან მეორე ყრილობის წინა დღეებში აურაცხელი მოსამზადებელი საქმეების გამო საქართვ. ცაკის თავმჯდომარე, ამხ. მიხა ცხაკაიას არ შეეძლო დასწრება ოზურგეთ-ნატანების რკინის-გზის გახსნაზე, მან 26 დეკემბერს გაუგზავნა შემდეგი სასწრაფო დეპეშა.

ოზურგეთის აღმასკომს, ახალი ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გამგებ კომიტეტს.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თქვენი სახით ულოცავს **საქართველოს, ამიერ-კავკასიისა და მთელი კავშირის** მშრომელებს კიდევ ერთს ბრწყინვალე გამარჯვებას სამეურნეო-სააღმშენებლო ფრონტზე...

სალამი და დიდება გურიის მშრომელთ, მუშებსა და გლეხებს, რომელთაც გმირულათ და ბრწყინვალეთ დაამთავრეს **ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა**, რომელიც გურიის მივარდნილ სოფლებს დაუახლოებს დიდი რუსეთისა და მთელი მსოფლიო პროლეტარიატს და მით განავითარებს წარმოებას და განაცხოველებს აღებ-მიცემობას...

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სახელით გაცნობებთ: **ყველა ამ ფრონტზე თავდადებულნი მუშები და გურიის სოფელ-თემები იქნებიან წითელ დაფაზე აღნიშნულნი.**

ამასთანავე პრეზიდიუმი ადგენს: **მიეცეს, თანახმად წარმოდგენილ სიისა, მატერიალური ჯილდოც ათასი მანეთი ჩერვონეცით.**

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მიხა ცხაკაია.

ქალაქის კომუნალური მეურნეობა

ტფილისის ელექტრო-სადგურის დღევანდელი მდგომარეობა

1922 წელს ტფილისის ელექტრო სადგურის სამმართველოს ნივთიური მდგომარეობა მძიმე იყო.

ენერგიის ფასი გამოანგარიშებული იყო 25.000 მან. ა. კ. ფულის ნიშნებით, რაც ტარიფის გამოცხადების დროს უდრიდა 25 კაპ. ოქროთი

ამ.-კავ. ფულის ნიშნების ღირებულების თანდათანობით დაცემამ ერთი მხრივ, და ხელფასის და საბაზრო ფასების ზრდის გამო ხარჯების გადიდებამ—მეორე მხრივ, სამმართველოს წინასწარ გამოანგარიშებული შემოსავლის მხოლოდ ნახევარი მისცა, რამაც დიდად იმოქმედა სადგურების შრომის ნაყოფიერებაზე.

მდგომარეობას აუარესებდა ის გარემოებაც, რომ ომისა და რევოლიუციის განმავლობაში შეუკეთებელმა მამოძრავებელმა მანქანებმა რამოდენიმედ შესწყვიტეს მუშაობა.

საჭირო იყო რემონტი, ზოგ შემთხვევაში კაპიტალური შეკეთებაც, რისთვისაც სამმართველოს საკმაო ფული არ გაჩნდა, 1923 წელმა სადგურების მდგომარეობა რამოდენიმედ გააუმჯობესა.

ენერგიის ღირებულება გამოანგარიშებულ იქნა საქონლის მანეთებით და ამავე დროს აბონენტები კატეგორიებად იქნენ დაყოფილნი (ბინებისთვის დაწესდა ყოველ კილოუატ საათისათვის—15 კაპ. სამეურნეო ორგანოებისთვის 20 კაპ. და კერძო დაწესებულებისათვის—25 კ.) კილოუატ-საათისა თვით ღირებულება შეფასებული იქნა 23,44 კაპ.

შემდეგი თვების განმავლობაში ენერგიის ფასი კვლავ გადიდდა ხოლო ტარიფის ბონებით გამოანგარიშება თვეში ოთხჯერ ხდებოდა, რის მეოხებით სამმართველოს ზარალი არ მოსვლია.

სექტემბერში სამმართველომ შემოიღო ფასის ჩერვონეცით გამოანგარიშება.

რაკი ფასის გადახდა აბონენტთა მიერ გადახდის დღის კურსით სწარმოებდა საკმაოდ შემოწმებული და გადასინჯული კალკულაციის გამო, სამმართველოს დაზარალება სავსებით შეწყდა.. ამასთანავე დეფიციტებიდან ძველის ვალის აკრეფამ მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო. ამგვარად სამმართველოს ფინანსიური მდგომარეობა საკმაოდ განმტკიცდა. საქმის ფინანსიურ გამოსწორებასთან ერთად, პარალელურად გამოკეთდა საწარმოო-ტეხნიკური მხარეც.

ხდებოდა მამოძრავებელ მანქანების შეკეთება, დიდდებოდა ტეხნიკური პერსონალის და მუშების შტატი, კეთდებოდა შენობები და სხვა.

შარშანდელთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც.

თუ 1922 წელს 10 თვის განმავლობაში (იანვარ-ოქტომბერი) გამოშვებული იქნა 879.875 კილოუატ-საათი, 1923 წლის ამავე ხნის განმავლობაში სადგურებში დაამუშავეს 1,230.173 კილოუატ საათი, გაიზარდა აგრეთვე აბონენტთა რაოდენობაც 5.032-დან (გასულ წლის) 6.002-მდე.

ამ ჟამად სამმართველოს განკარგულებაში მყოფ 16 სადგურიდან, 14 სად. მოქმედებს. ორი სადგური შეჩერებულია: ერთი გაუქმდა მამოძრავებელი მანქანის მუშათა რაიონის სადგურში გადატანის გამო, ხოლო მეორეს რემონტი უკეთდება.

მეცნიერება და ტექნიკა

თავგანწირული მეცნიერი

ამერიკელი მეცნიერი ტ. ა. იაგგარი, რომელმაც მიზნათ დაისახა ცეცხლის მფრქვეველი მთების შესწავლა, უკვე 14 წელიწადია ცხოვრობს თავის ცოლთან ერთად ქოხში ცეცხლის მფრქვეველი მთის კილაუეას კრატერთან (ცეცხლის მფრქვეველი მთის ყელი) გავაის კუნძულებზე. ქვემოთ მოყვანილი ცნობები გადასცა მან ჟურ. „უაიდ უორლდ მაგაზინ“-ს.

ცეცხლის მფრქვეველი მთის ასეული ნაპრალიდან განუწყვეტლივ ამოდის ორთქლი და კვამლი, მეცნიერის ქოხი ქვის გასროლის მანძილით არის დაშორებული მთის ყელიდან, საიდანაც ალი ამოდის. კილაუეა მუდმივ სავსეა გავარვარებული ლვეფით და წარმოადგენს ცეცხლისმფრქვეველი მთის მაუნო-ლოას ნაწილს. ამ უკანასკნელის ამოხეთქვას 1919 წ. პროფესორი იაგგარი თვალყურს ადევნებდა და ისწავლიდა ძლიერ ახლო მანძილზე. პროფესორი ხედავდა ლვეფის ნაკადებს, რომელიც ამოდიოდა ცეცხლის მფრქვეველი მთის ყელიდან.

როცა იაგგარმა ზოგიერთი ნიშნების მიხედვით იფიქრა, რომ ლვეფი კილაუას ყელში მაღლდება და იწვევს ერთგვარის კანონშეწონილობით, მან ამის შესამოწმებლად თავისი თვალყურის სადევნებელი პუნქტი უფრო მიუახლოვა კრატერს. 4 კვირის განმავლობაში ის ზომავდა ლვეფის დონეს ცეცხლისმფრქვეველი მთის ყელში. ღამეს ათევდა ოთხ ბოძზე გაჭიმულ ტილოს ქვეშ. ხშირად ლვეფის სიცხოველე იმდენად ძლიერდებოდა, რომ ბოძების ქვედა ნაწილებს ცეცხლი უჩნდებოდა. ერთ ღამეს ნიადაგი ფარდულის ქვეშ გასკდა და ნაპრალიდან ალი ამოვარდა...

საჰაერო ტანკი

ამერიკის მთავრობამ ააგო ახალი ტიპის აეროპლანები—საჰაერო ტანკი. საჰაერო ტანკს აქვს რვა მოტორი, 2700 ცხენის ძალის, შეიარაღებულია 12 ტყვიისმფრქვევლით და 2 მსწრაფლმსროლელი ზარბაზნით, მისი სისწრაფე 130 ვერსს უდრის საათში. 50 ასეთ ტანკს ერთის თავდასხმით შეუძლია გაანადგუროს ნიუ-იორკი, ლონდონი ან პარიზი.

ქრონიკა

— **ახალგაზრდათა კომკავშირის შობის დღესასწაული.** პროფკავშირების საბჭომ წინადადება მისცა თავის ქვემდებარე პროფკავშირებს, რათა მათ ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდათა კომკავშირის შობის დღესასწაულის მონაწილეობაში და ხელი შეუწყონ, როგორც ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის ჩატარებას.

— **ჩაის ხარისხის გამოკვლევა** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა საფონდო-სავაჭრო ბირჟასთან მოაწყოს ჩაის პლანტაციების გამომკვლევი კომისია ჩაის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

— **მუშათა ახალშენი.** ქ. აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილება შეუთანხმდა ცენტრ. აღმშენებლობის კომიტეტს მუშათა ახალშენების გასაშენებლად. პირველ რიგში გაშენდება ლენინის სახელობის ახალშენი.

— **დამატებითი აღრიცხვა.** შრ. ბირჟის დადგენილებით მედიკო-სანიტარული სექციის უმუშევართა დამატებით აღრიცხვა მოხდება მხოლოდ 29 დეკემბერს, რომლის შემდეგ აღრიცხვაზე არავინ იქნება გატარებული.

— **შინავაჭრობის კომისია.** უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსდება შინა-ვაჭრობის კომისია ამხ. ავაქოვის (თავმჯდ.) ამხ. კანდელაკისა და მგალობლიშვილის შემადგენლობით,

— **გუბის წყალზე ხიდის აღდგენა.** უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ქუთაისის სამაზრო აღმასკომს სპეც-ინჟინრების საშუალებით მოახდინოს გამოკვლევა და წარმოადგინოს საჩქაროდ გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა გუბის წყალზე ხიდის აღსადგენათ.

— **ჭიათურის ელექტრონული სადგური** უმაღ. ეკონომ. საბჭომ საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიანდო ჭიათურის სამაზრო აღმასკომთან ერთად გამოიმუშაოს გეგმა ჭიათურაში ელექტრონული სადგურის ასაგებათ.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 30 დეკ. დილის 11 საათ. ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებლის შენობაში (კამოს ქ. № 70) შესდგება ინჟ. ვ. ახვლედიანის მოხსენება შემდეგ თემაზე: „საფეიქრო მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა და საჭიროება საქართველოში“. მოხსენებას დაერთვის მრავალი ცოცხალი სურათები. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **გლეხთა სასახლე ტფილისში.** 18 იანვარს თელავში შესდგება სასოფლო და სათემო კომიტეტების წარმომადგენლების ყრილობა. სხვათა შორის ყრილობის მიზანია გაიღოს თავის წვლილი ტფილისში გლეხთა სასახლის ასაგებათ.

— **თესლეულობის განაწილება.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წინაშე რათა გლეხთა შორის გასანაწილებლათ გადადებული ყოველგვარი თესლეულობა რესპუბლიკის საზღვრებში, გადაეცეს ადგილობრივ საგლეხო კომიტეტებს.

— **წისქვილები საგლეხო კომიტეტებს.** ქუთაისის მაზრაში ყველა წისქვილები საექსპლოატაციოთ გადაეცა გლეხთა სასოფლო და სათემო კომიტეტებს.

— **ხელ-ახალი აღრიცხვა** 21 დეკ. შრ. ბირჟაში ხელ-ახალ აღრიცხვაზე გამოცხადდა 316 უმუშ., აღრიცხვაზე დატოვებულია—307, აღრიცხვიდან მოხსნილია 9 კაცი.

— **სამეურვეო განყოფილებები.** გორის და ქუთაისის განათლების განყოფილებებთან გაიხსნა სამეურვეო განყოფილებები.

— **უსინათლოთა სასწავლებელში.** უსინათლოთა სასწავლებელში მოწაფეთა მიერ გაკეთებულ სხვადასხვა ნივთების გაყიდვით ნოემბერში შემოვიდა 1,225,200,000 მან.

— **სკოლები პროვინციებში.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ ქვემო-ხევსურეთში მიმდინარე სამოსწავლო წლიდან გახსნა ორი დაწყებითი სკოლა.

— **დოცენტების დამტკიცება.** სახ. განათლების კომისარიატმა დაამტკიცა სახელმწიფო—უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეულნი: 1) ნიკოისელიანი, ზოოტეხნიის კათედრის დოცენტათ, 2. პროფ. ა. კალგინი—სახეროთ-მოძღვრო ფორმების ლექტორათ, 3) ექიმი ვაწაძე—ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტათ და 4) უნივერსიტეტთან დატოვებული ნ. ქოიავა—ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიის ლექტორად.

— **შრომის ბირჟაში.** 24 დეკ. შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 14 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 14, სამუშაოზე გაიგზავნა—42, მოთხოვნილება იყო—54.

შემთხვევები.

— **უეცარი სიკვდილი.** 22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ქუჩაში უეცრივ გარდაიცვალა მოქ. იაკობ შუხტინი. ცხედარი გადაგზავნილი იქნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურაში.

— **ცეცხლი.** 24 დეკემბერს გაუჩნდა ცეცხლი კონსტანტინოვის ქ. № 2 მდებარე ფურნეს, ცეცხლი ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

— **უბედური შემთხვევა.** 22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ნიკოლოზის მოედანზე ავტომობილმა გაიტანა მოქ. ჯავიან პირომიანცი. დაშავებული გაიგზავნა რესპუბლიკის საავადმყოფოში.

— **ქურდობა.** 23 დეკ. გაქურდულ იქნა მოქ. გიორგი აგაჯანიანცი (კრასნოგორის შესახ. № 5) წაღებულია სხვადასხვა ტანსაცმელი ღირებული 1,200,000,000 მან.

ხელოვნება

— **ქართული თეატრის დღესასწაული.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო განათლების კომისარიატს, ქართული თეატრის დღესასწაულის დღეს 2 იანვარს, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოაწყოს შესაფერი წარმოდგენები და აღნიშნულ წარმოდგენებიდან შემოსული თანხის 50 პროც. გადაეცეს საქართ. მსახიობთა კულტურულ საბჭოს, სათეატრო მუშაკთა საჭიროებათათვის.

— **სალამი ხელოვნების სასახლისთვის.** ორშაბათს 31 [illegible] დეკემბერს სრულიად საქართველ [illegible] კავშირის მთავარი [illegible] ენების [illegible]

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში

ამ დღეებში შევიარე მთავარ სახელოსნოში და გამოველაპარაკე მუშებს მათი მდგომარეობის შესახებ. აქაური მუშები ამბობენ: ჯამაგირი ნაკლები გვაქვს „აკორდებს" ძალიან ცოტა პროცენტებით ვაზარებთ და ძალიან გვიჭირდება ცხოვრებაო. ზოგიერთებმა შემომჩივლეს იმის შესახებ, რომ დეპოს მუშები ფქვილებს ღებულობენ, სახელოსნოს კი არა. რომ შევეკითხე მიზეზები, მიპასუხეს, რომ დეპოს ადგილკომი თავდებათ დაუდგა მუშებს, სახელოსნოს ადგილკომი არ დაგვიდგა თავდებად და იმიტომაც ვერც ვიღებთ ფქვილსაო. ასე გულ დაწყვეტილად გადმომცეს თავიანთ გულში ნადები. საჭიროა სახელოსნოს ადგილკომმა უფრო ენერგიული მუშაობა გამოიჩინოს.

შაქრო ნავთლუღელი.

ურჩნი უნდა ავლაგმოთ

(ამ. კავ. რკ. გზების სამმართვ. და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ამას წინედ ჩვენ ვწერდით რკინის გზებზე ვაგონ-რესტორანების მოიჯარადრეების უკანონო მოქმედებების შესახებ და მოუწოდებდით როგორც პროფკავშირს, ისე შრომის ინსპექციას, რათა მათ მიეღოთ ზომები და მოეხსნათ ის ორმოცდა ათი მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც ბ.ბ. მოიჯარადრეებს აყვანილი ჰყავთ შრომის ბირჟის გარეშე. სამწუხაროთ, ჩემმა წერილმა ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, ეს უბირჟოთ დამდგარი ხალხი ისევ განაგრძობს თავის ადგილზე „მუშაობა—სპეკულიაციას" და ამით ჩადის ორნაირ ბოროტმოქმედებას. აი ერთი დამახასიათებელი მაგალითი: ამ დღეებში, „ვაგონ-რესტორანში", რომლის მოიჯარადრეა მოქ. ჩახუნაშვილი № 3—4 ადმინისტრაციამ აღმოაჩინა 11 ვედრა სპირტი, რომელსაც ალბად ეს ვაჟბატონები მიაქროლებდნენ მოსკოვისაკენ. როცა შევეკითხე: ვისია „სპირტი"-ო ბ. ჩახუნაშვილმა უარი განაცხადა. ჩემი არ გახლავს, ხოლო „მოსამსახურეებმა" კი ხვეწნით უპასუხეს ადმინისტრაციას: ნუ წაგვართმევთ, ბ—ნო ჩვენია ნასესხები ფულით გვაქვს ნაყიდი, ჯამაგირს არ ვღებულობთ და გვინდოდა ცოტა რამეს ჩამოვრჩენოდით", როგორ მოგწონთ ეს ამბავი? ნუ თუ მუშა უნდა კადრულობდეს დღეს ასეთ საზიზღრობას? მაგრამ ეს ხალხი, ხომ, მუშები არ არიან. ესენი ბ-ნ ჩახუნაშვილების „მამიდაშვილებია" და ორივენი ერთი მეორეს ბანენ ხელებს. საჭიროა რკინისგზის მთავარ სამმართველომ, რომელსაც ამ დღეებში ქირით აქვს ამ „ვაგონ რესტორნებზე" დადებული პირობა დაუდვას მოიჯარადრეებს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ბირჟიდან აყვანა, და უბირჟოთ აყვანილთა დაუყოვნებლივ მოხსნა, რითაც განთავისუფლდება რკინისგზა, „სპირიდონისტებისაგან" ეგრე უწოდებენ რკინისგზელები სპირტით მოვაჭრე მუშა-მოსამსახურეთ.

მუშკორი გაიოზი.

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბაში.

24 დეკემბერს, გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბაში მოხდა საზოგადო კრება აქაურ მუშა-მოსამსახურეებისა, რომელთა რიცხვი 140 კაცამდე აღწევს. კრებას მბეჭდავთა კავშირიდან დაესწრო კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ნიკიტინი. დღის წესრიგში იყო უმთავრესი საკითხი ახალი ადგილკომის არჩევა და ძველისაგან წლიური ანგარიშის განხილვა და შეფასება. გარდა ამისა, კრებამ მოისმინა აგრეთვე მოკლე ანგარიში სტამბის გამგის ამხ. შახნაზაროვისა წარმოების შესახებ; ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. დოლიძემ გააკეთა მოხსენება რუსულ ენაზე და გააცნო ამხანაგებს, თუ რა გააკეთა ერთი წლის განმავლობაში ადგილკომმა და რა დადებით შედეგებს მიაღწია მან მუშათა ინტერესების დაცვაში. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ქართულ ენაზე ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ჯაში, რომელმაც აღნიშნა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები წარსული მოღვაწეობისა და უსურვა ამხანაგებს მომავალ ადგილკომის მოღვაწეობაში დეფექტებს ადგილი აღარ ჰქონოდა.

სარევიზიო კომისიის წევრების ამხ. კორძაიას და ფრიალკოვსკის მოხსენებების შემდეგ და კულტიაჩეიკის წარმომადგენლის ამხ. ჟუკოვის ანგარიშის შემდეგ, კრება იწონებს საერთო მუშაობას ძველი ადგილკომისას და გადადის ახალი ადგილკომის არჩევნებზე. მომავალი ადგილკომის შემადგენლობაზე და მისი მუშაობის შესახებ მოკლე განმარტებას აკეთებს ამხ. ნიკიტინი, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ გვინდა მუშათა კლასი კავშირთან დაახლოვებული იყოს, ამისთვის საჭიროა კვირაში ერთხელ მაინც იკრიბებოდეს ადგილკომი საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად, რათა ყოველივე გაუგებრობას ადგილი არ ექნეს ადგილკომის მუშაობაში.

შემდეგ მოხდა არჩევნები ახალი ადგილკომის შემადგენლობისა; არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: დოლონაძე, მესხიძე და გრიგორიანცი, ჯაში, ბადალოვი და გელოვანი (შრომის დაცვა), კორძაია, ეგანოვი და იორდანოვი (სარევ. კომისია), კულტიაჩეიკაში ჟუკოვი და კანდიდატი არმენაკ დავიდოვი; არჩეულ იქნა აგრეთვე ოთხი მუშკორი: კორძაია, ჯაში, დავიდოვი და ხერო ვართანოვი.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ნიკიტინი, მდივნობდა—ეგანოვი. კრებას დაესწრო მთელი სტამბის მუშა-მოსამსახურეები. კრების შემდეგ [illegible] რიგი გაზეთების [illegible] ინტენსიურად შეუდგენ მუშაობას.

მუშკორი უ. ჯაში.

გორის სახალხო სახლი

(ჩვენი გორის მუშკორისაგან)

გორის სახალხო სახლთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრე პერიოდულად აწყობს ქართულ ენაზე წარმოდგენებს, მაგრამ თუ საქველმოქმედო წარმოდგენა არ არის და ერთგვარ ზეგავლენა-ძალდატანებით ბილეთები წინასწარ არ გაიყიდა ხალხი არ ესწრობა. რაშია საქმე? ნუ თუ გორის ღარიბ მოსახლეობას არ უნდა თეატრი, არ უნდა წარმოდგენები?! პირიქით, გორის საზოგადოებას ძლიერ უყვარს თავის სახალხო სახლი და წარმოდგენები, მხოლოდ ეჯავრებათ და ვერ ურიგდებიან იქ არსებულ ბუფეტ-რესტორანს, ანუ სამიკიტნოს, ვინაიდან ნამდვილი სამიკიტნოა სახალხო სახლის ბუფეტი და ამიტომ იგი უნდა ქალაქ გარედ იყვეს და არა სახალხო სახლის შენობაში, რადგან სახალხო სახლში ჩვენი მუშა-მოსამსახურენი ლოთობისთვის არ მოდიან, არამედ წარმოდგენის სანახავად; ვინ, რომელი თავმოყვარე ადამიანი მოიყვანს გორის სახალხო სახლში ცოლს, დას, დედას და სხვას, იმ დროს, როდესაც იცის, რომ იქ ლოთი ხალხის საზოგადოებაში მოუხდება მას ყოფნა; ეს ლოთი ხალხი, რომელნიც სახალხო სახლში ლოთობისთვის მოდიან, როდესაც კარგად გაიჟღენთებიან ღვინით, მაშინ შედიან დარბაზში, სადაც ბევრნაირ უწესობას ახდენენ, ეს უწესობა როგორც სცენაზე მოთამაშეზე, ისე დამსწრე საზოგადოებაზე არა სასურველად მოქმედობს. ყველა ეს ქმნის დიდს ქაოსს და აი სწორედ მიზეზი ის არის, რომ გორის საზოგადოება წარმოდგენებს აღარ ესწრება. ვინაიდან ჩვენთვის აუცილებელია სახალხო სახლი და მასში ისეთი წესრიგი, რომელიც დღევანდელ აღორძინებისაკენ მსვლელ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების პატიოსან მუშაკთ შეეფერებათ. ამიტომ საჭიროა აღმოიფხვრას ასეთი დაბრკოლებები. აღარაა საჭირო სამიკიტნო-საქეიფოები, რომელიც ხელს შეგვიშლიან ჩვენი კულტგანათლების და ეკონომიურ მსვლელობაში.

მუშკორ. ინ. კორინთელი.

თავხედი მეპურე

ჩერქეზიშვილის ქუჩა დუქანი № 9594-ში მოთავსებულია თორნე. მეთორნეს გამოაქვს რკინისგზის ფურნიდან, მუშკოოპიდან პური და ჰყიდის მას საგრძნობ პროცენტების დამატებით, რით ეწევა სპეკულიაციას. ის არ კმაყოფილდება თავის თორნეში გამომცხვარ პურზე მონაგებით და ჩვენ გვიშლის ხელს და ჩვენივე კოოპერატივის პურით ჩვენ გვაძრობს ტყავს. სპეკულიანტის ასეთი საქციელი დაუშვებელია. საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება მეორე რაიონის მილიციამ და აგებიოს პასუხი მეპურეს ასეთი საქციელისთვის. დუქანში ყოველთვის არის გამოფენილი კოოპერატივის პური, რაც ფაქტად საკმარისია. საჭიროა მიექცეს ყურადღება და მიღებულ იქნეს სათანადო ზომები თავგასულ სპეკულიანტის ასალაგმავად. მუშკოოპის პური მუშებს ეკუთვნით და არა სპეკულიანტებს.

მუშკორი ცაკ.

როგორ უნდა მოისპოს ლოთობა?!

ბევრი იწერება ლოთობის წინააღმდეგ და ვამბობ და ვიტყვით კიდეც, რომ ლოთობა მაშინ მოისპობა, როცა ქარხნის წინ აღარ იქნება არც ერთი სამიკიტნო. მუშა გამოდის სამუშაოდან და ის პირდაპირ სამიკიტნოს ეჩხება, სშია და სწყურია მას და ის აქ პოულობს საჭმელსა დ სასმელს დ ისე აქ ადვილად ვაჭრის ანკესზე წამოეგება ხოლმე. როცა სამიკიტნოს აღებს მიკიტანი, ისა აქ მხედველობაში იმ გარემოებას, თუ რამდენი მუშტარი და სად ეყოლება მას. ის მუშტრებს ხედავს იქ, სადაც ბევრი მუშა ხალხია—ფაბრიკა ქარხნებთან და ის იქვე აღებს თავის სამიკიტნოს და წყნარ-წყნარა დღე და ღამ დაუღალავად სწუწნავს მუშის სალარს და აცალიერებს მუშის ჯიბეს. აი ეს სამიკიტნოები სწორედ ღუპავენ მუშა-ხალხს და თავდაპირველად ისინი აუცილებლად უნდა დავკეტოთ. შემდეგ, თვით მუშებში შეგნებულ მუშებმა ადგილკომის, კომუჯრედების და კულტუჯრედების თაოსნობით უნდა გამოუცხადონ ლოთობას და ლოთ მუშებს სასტიკი ბრძოლა კულტურულ და პროფესიონალური გზით—(შავ დაფაზე გამოცხადდება, საყვედურის გამოცხადება, სამსახურიდან დათხოვნა და სხვა.)

მუშა გიორგი დანდუროვ.

მუშათა წერილებიდან

ბოლო უნდა მოეღოს!

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ.)

ერევნის მოედანზე არის ერთი რესტორანი, სახ. „პალასი" (ყოფ. „ორიოლი"), რომელიც საამხანაგოდ აღებული აქვთ 15 სხვადასხვა ჯურის „ხაზეინებს". აქ არის კავშირის წევრი მხოლოდ ერთი მოსამსახურე ქალი, რომელსაც უხდება მუშაობა 14—16 საათების განმავლობაში ყოველდღე. თვით რესტორანი წარმოადგენს გარყვნილების პრიტონს, სადაც თავს იყრიან უნამუსო ქალები და ეწევიან როსკიპობას.

ამ გარყვნილების პრიტონზე ბევრი დაიწერა გაზეთებში, მაგრამ მისთვის დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია, ამიტომ საჭიროა ეხლა მაინც მიექცეს მას სერიოზული ყურადღება და დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ასეთ სიბინძურის და გარყვნილების გამავრცელებელ ბუნაგს.

საქონლის სადგურის ც. ტ. მოხ. მუშა ვ. გ.

— **მეტი ყურადღება მეგაზეთეებს.** ქ. ტფილისში ირიცხება 40 მდე მეგაზეთე მუშა. მათ შორის 7-დე კაცს აქვს სამუშაო სხვაგანაც და ისინი უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე დანარჩენი 33 კაცი, რომელთაც საცხოვრებელ წყაროს აძლევს მხოლოდ და მხოლოდ მეგაზეთეობა; სხვა რაიმე სახსარი მათ არ გააჩნიათ. ამ ბოლო ხანებში მათ უბედურებას დაუმატა კიდევ ერთი რამ. საქმე შემდეგშია: უწინ გაუყიდავ გაზეთებს კანტორები უკან იბრუნებდნენ. ეხლა კი ეს ასე არ ხდება და ჩვენს მეგაზეთეებს სულ უბრალოდ უხდებათ გაზეთების ფულის გადახდა. საჭიროა ეს საკლი გამოსწორებული იქნეს კანონიერად.

გაზეთის გამყიდველი.

რებლად მართავს „ქიმერიონში" ახალი წლის შეხვედრას. განსაკუთრებული პროგრამა შედგენილია კოტე მარჯანიშვილისაგან. მონაწილეობენ ოპერის და დრამის საუკეთესო არტისტები. სალამოს დიასახლისები: ნ. პ. ამირეჯიბი და ე. ვ. მარჯანიშვილისა.

— **გ. ხეჩუაშვილის იუბილე.** კვირას, 30 დეკემბერს. გაიმართება მუშა-მგოსანის გიგო ხეჩუაშვილის 25 წლის იუბილე. ამავე დღისათვის გამოვა იუბილიარის რჩეული ნაწერები ივ. გომართელის წინასიტყვაობით.

ან. თუმანიშვილი-წერეთლის და ექ. გაბაშვილის სახლების განთავისუფლება ბანკის ვალებისაგან. საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სახ. ბანკის გამგეობას, რათა დამსახურებულ მწერალთა ან. თუმანიშვილი-წერეთლის და ექ. გაბაშვილის უძრავი ქონება გაანთავისუფლოს ბანკის ვალებისაგან, რომელიც მათზე ირიცხებოდა.

— **თვითმშრომელთა კლუბი.** კვირას, 30 დეკემბერს, თვითმართველთა კლუბში მოხდება ლიტერატურული გასამართლება დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის" გმირი ქალის ვარდუასი. მონაწილეობენ მუშები.

— **უმუშევართა სასარგებლოთ.** მუშათა ცენტრალურ კლუბში ამ დღეებში გაიმართება დიდი სალამო უმუშევართა, სასარგებლოთ.

— **მუშა-მომღერალთა გუნდი.** საქ. პროფკავშირთა გუნდი ამხ. კალანდაძის ხელმძღვანელობით ახლო ხანში მუშათა თეატრებში გამართავს რევოლიუციონურ კონცერტებს.

— **მომავალი სეზონის გეგმა.** სახელოვნო მთავარ კომიტეტთან შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს მომავალი სათეატრო სეზონის მუშაობის გეგმა. კომისია შესდგება შემდეგი პირებით: გ. რობაქიძე, მ. ბალანჩივაძე, ს. ამაშელი. ვ. იგნატოვი, ლ. სვიმონიშვილი, კ. მარჯანიშვილი და რაბისის წარმომადგენელი.

პროვინციაში

ონის რაიონი (რაჭის მაზრა)

ონის რაიონი ჩამოყალიბდა სულ თვე ნახევარია. შედის ექვსი სასოფლო საბჭოს ერთეული: ონის, ღაშქვის, ზვარეთის, ცხმრის, წედისის და შქმერის. საბჭოთა არჩევნები დამთავრდა ნოემბერში. ყველგან გლეხობა დიდის ალტაცებით ხვდებოდენ არჩევნებს და გაყავდათ დეპუტატებათ ადგილობრივ კომფრაქციის მიერ წამოყენებული კანდიდატები. 26 ნოემბერს მოხდა საბჭოთა სარაიონო ყრილობა, რომელზედაც ყველა დეპუტატები გამოცხადენ. ყრილობას დაესწრენ სამპარტკომის და სამაღმსკომის წარმომადგენელნი. ყრილობა იყო საქმიანი, დეპუტატები დიდის გულდასმით ისმენდენ მოხსენებებს და გამოქონდათ შესაფერისი რეზოლიუციები. სხვა საკითხებთან ერთათ იყო საკითხი გლეხების მდგომარეობის, გზების, სკოლების და სხვათა შესახებ.

ახალ სარაიონო აღმასკომს უხდება [illegible] განსაკუთრებულ პირობ[illegible] ახლად არჩეულმა აღმკომის თავმჯდომარემ, ეს განსაკუთრებული პირობები არის: მიწის სივიწროვე, გზების და ტრანსპორტის მოუწყობლობა, უკულტურობა და ჩამორჩენილობა.

მიწის სივიწროვის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ მცხოვრებთა რიცხვი რაიონში ითვლება 15985, კომლთა რიცხვი 1975, ვარგისი მიწა, სახნავ-სათესი, სავენახე და სათიბი რაიონში არის 1980 დესეტინა. თითო კომლს, რომელიც შესდგება 7,8 სულისაგან მოსდის ერთი დესეტინა.

ასე რომ 1 დესეტინამდე მოსდის სულ 1232 კომლს ე. ი. ორი მესამედი მცხოვრებლებისას და ნორმა აქვთ მხოლოდ 33 კომლს 1975 კომლში, ანუ 1,6 პროც. მთელი მცხოვრებლების, თანახმად მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ შემუშავებულ დებულებისა კი თითო კომლს, რომელიც შესდგება 5 სულისაგან, აქვს გადაწყვეტილი ნორმად 4 დესეტინა, რადგან ონის რაიონი არის 2 კატეგორიაში შეტანილი.

რაიონის მცხოვრებნი განიცდიან მიწის დიდ სივიწროვეს.

მიწის სიმცირის გამო რაჭველ გლეხს ზამთრობით ვერ ნახავს სახლში, მოიწევს თუ არა მოსავალს, მიეშურება ქალაქისაკენ სამუშაოდ, თვე ნახევრის განმავლობაში არის გასული გარეთ, რაც სჩანს რეგისტრაციიდან, 900 კაცი.

რაც შეეხება გზების მდგომარეობას და ტრანსპორტის მოუწყობლობას, ეს ორივე საკითხი საერთო მტკივნეული ადგილია, არამც თუ რაიონისათვის, არამედ მთელი მაზრისათვის. ყრილობამ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა და მიიღო მხედველობაში, რომ შქმერის უღელტეხილი, რომელიც აერთიანებს ორს მაზრას, რაჭას და შორაპანს, რომელზედაც დაიარება მთელი ზემო რაჭა, ნახევარი მცხოვრებლები მაზრისა,—არის ერთი უახლოესი გზა საჩხერის რკინის გზის სადგურთან, რომლის საშუალებით გლეხს შეუძლია 24 საათის განმავლობაში ამოყოს თავი ცენტრალურ ქალაქებში, თბილისს და ქუთაისში და მასთან სამრეწველო ქალაქ ჭიათურაში, სადაც გლეხობა ეტანება სამუშევრად. ყრილობამ დაადგინა: ეთხოვოს სამაღმკომს, რომ სამაღმასკომმა ეს გზა მიიღოს თავის-თავზე,—ამ გზას აქვს მნიშვნელობა მაზრის ფარგლებში—შეაკეთოს და გააფართოვოს, რადგან ეს გზა ეხლა მიდის ბილიკით, ბევრ ადგილას გაფუჭებულია. მასთან რაიონი აღუთქვამს, რომ სამუშევრის მომეტებულ ნაწილს რაიონი მიიღებს თავის თავზე, მით უმეტეს, რომ ეს გზა არ იკვრება, ზამთარ-ზაფხულ თავისუფალია და შეიძლება მგზავრობა.

ყრილობამ იქონია მსჯელობა აგრეთვე ოსეთისაკენ მიმავალ გზაზე —კუდარისაკენ, რომელ გზას აქვს მნიშვნელობა მაზრის მასშტაბით, ეს გზაც მიიღოს მაზრაღმასკომმა თავის თავზე. სასოფლო და სარაიონო გზების შესახებაც იყო მსჯელობა და შესაფერი დადგენილება გამოტანილი.

სკოლების შესახებ უნდა ითქვას, რომ რაიონში, რომელშიაც შედის 36 სოფელი, მეტად განსაზღვრული რიცხვია სკოლებისა, სულ არის 8 სასწავლებელი 1 საფეხურისა, სადაც სწავლობს 433 ბავშვი.

მომეტებული ნაწილი ბავშვებისა არის დარჩენილი სასწავლებლის გარეთ.

ეხლა, როდესაც მთელი ყურადღება სახელმწიფოსი არის მიქცეული იქითკენ, რომ რაც შეიძლება იქნეს გამრავლებული სკოლა, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს მის გარეთ უსწავლელი, — დანაშაულობა იქნებოდა, რომ ამ მდგომარეობას არ მიქცეოდა ყურადღება, მით უმეტეს, რომ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი რაიონში აღწევს 70 პროცენტს. ყოველივე ამას მიაქცია ყურადღება ყრილობამ და დაადგინა: ეთხოვოს სამაზრო აღმასკომს მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ჩამორჩენილ რაიონს.

ახლად შემდგარმა აღმასკომმა მიაქცია ყურადღება გლეხობის მდგომარეობას, რომელთაც უხდებათ სიარული 8—10 ვერსის მანძილზე სასამართლოში საქმეების გასარჩევათ, შეეცადა მოაწყოს სასამართლოს სესია სოფ. ზვარეთში, რისთვისაც კისრულობს ყველა გამოწვეულ ხარჯებს, დღიურებს და გადასახით საშუალებას სასამართლოსათვის; რაიაღმასკომმა აღძრა საკითხი სესიის მოწყობის შესახებ სახალხო უბნის მოსამართლესთან. იმედია, რომ მოსამართლე, როგორც მუშათა წრიდან გამოსული, შევა მშრომელი გლეხობის მდგომარეობაში, მოაწყოს რიგებს სესიის სხდომებს ს. ზვარეთში, რითაც გაუადვილებს და დაახლოვებს მშრომელ გლეხობას ახლად მოწყობილ, ჩამოყალიბებულ საბჭოთა სახალხო სასამართლოსთან.

რაი აღმასკომმა ხელი შეუწყო აგრეთვე წარმოდგენების გამართვას სოფლად. ამ მიზნით ს. კვაცხუთში იქნა გადაკეთებული შენობა თეატრისთვის, რისთვისაც გაიღო თავის წვლილი და მისცა მაგალითი გლეხობას საერთო საზოგადო კოლექტიურ შემოქმედებისა. სცენის მოყვარეთა წრის დახმარებით გამართა სხვადასხვა სოფლებში წარმოდგენები, ასეთი წარმოდგენები გაიმართა: სომიწოს, პიპილეთს, ზვარეთში, ცხმარში, ხირხონისში. წარმოდგენებს გლეხობა ქალი და კაცი ბლომათ ესწრება და ალტაცებაში მოდის, რომ ხედავს საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას მშრომელ გლეხობისადმი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია.

ასეთ წარმოდგენების გამართვას რაიაღმასკომი აპირებს ყველა სოფლებში.

ამბრ. გამყრელიძე.

დახმარება ჩოხატაურის საავადმყოფოს

შემაქვს ერთი ჩერვონეცი ჩოხატაურის რაიონული საავადმყოფოს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ჩემის მხრით შემდეგ პირებს, ჩოხატაურიდან: ლეონტი გრიგოლის ძე რამიშვილს, ერკეთიდან სევერიან ივანეს ძე მინდაძეს, ხიდისთავიდან: რვა წლიანი შრომის სკოლის გამგეს სიმონ ლუკასძე მამალაძეს, ოზურგეთიდან შალვა ალექსის ძე ქავჟავაძეს, ქობულეთიდან ვლასი ლუკას ძე მამალაძეს, ბათომიდან აკაკი ნესტორის ძე ჯინჭარაძეს და ქიშვარდი მამალაძეს, ფოთიდან ალისტრო და აქსენტი მამალაძეებს და ისიდორე ჯინჭარაძეს. ტფილისიდან გერასიმე თოდრიას, იაგორ მარკოზის ძე კალანდაძეს და გიორგი იაგორის ძე ჩანტლაძეს. ხსენებულ ამხანაგებს შეუძლიან შეიტანონ თითო ჩერვონეცზე მეტიც. ფული უნდა გადმოგზავნონ საალმშენებლო კომიტეტის მოლარეს, ჩოხატაურის საბჭოთა საავადმყოფოს გამგე ილია ანტონის ძე ძნელაძესთან.

ვახო როინიშვილი.

ერთი ჩერვონეცი შემოტანილია ვასილ როინიშვილის მიერ ჩოხატ. საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტის სალაროში.

საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტის სამეთო ნაწილის გამგე ი. ძნელაძე.

ღია წერილი

ეწერში (სოფ. ერკეთი, ოზურ. მაზრა) სახალხო სახლის ამგებ კომისიის მიმართ.

რამდენიმე თვის წინათ მივიღე თქვენი მოწოდება, რომლითაც მთხოვდით შემეგროვებია თანხა ეწერში სახალხო სახლის ასაგებათ.

მე მივმართე განათლების კომისარიატის სათეატრო განყოფილებას, სადაც გამოირკვა, რომ ოზურგეთის განათლების განყოფილების გეგმით სახალხო სახლი უკვე შენდება იმ ადგილას, სადაც არსებობენ ერკეთის თემის აღმასკომი, სკოლა და კოოპერატივი.

მივიღე რა ეს განმარტება მხედველობაში და ის გარემოება, რომ უკვე დაწყებულ სახალხო სახლსა და ეწრის მოედანს შორის, სადაც თქვენ გაგიზრახავთ სახლის აგება, **მანძილი ერთი ვერსიც არ იქნება,** ამიტომ მე ვერ ვსცანი შესაძლებლათ მხარი დამეჭირა თქვენი გეგმისათვის.

ის თანხა კი, რომელიც მე და გერმანე მგალობლიშვილმა მივიღეთ ერთი დაწესებულებისაგან, გადაცემული იქნა სოფ. ერკეთში უკვე დაწყებულ სახლის დასახმარებლათ.

წელს ორიოდე დღით სოფელში ჩემი ყოფნის დროს, თუმცა შენობა არ მინახავს, მაგრამ სახლის ამშენებელმა ოსტატმა გადმომცა, რომ ასეთი შენობა ჯერ არ აგებულა მთელ გურიაში.

ამისდა მიხედვით მე უკან დაუბრუნე თქვენი მოწოდება მოქ. კობიძეს, რომელმაც ის გადმომცა წინეთ, და განუმარტე, თუ რა შეხედულების ვიყავი მე თქვენს გეგმაზე.

ამ დღეებში შემოვიდა ჩემთან ზემოხსენებული კობიძის ძმა და მითხრა, რომ გაზეთში ზარი გამოწვეული ერთი ჩერვონეცით ეწრის მინდორზე სახალხო სახლის აგების დასახმარებლათ და თუ შეიძლება დეს გვიშოვეთო.

მე განუმეორე ჩემი შეხედულება ერთი ვერსის მანძილზე ორი სახალხო სახლის აგების დაუშვებლობის შესახებ და უთხარი, რომ ვიწრო კუთხურ მოსწრაფებებს მე მხარს ვერ დაუჭერ მეთქი; და თუ კი სხვა რაიმე საზოგადო საქმეს მოჰკიდებენ ხელს, როგორიც არის, მაგალითად, საჯავახო-ჩოხატაურის გზის შეკეთება, ან ჩოხატაურში არსებულ ტეხნიკუმის ვიწრო შენობის გაფართოება,— დიდი სიამოვნებით გამოვიღებ ჩემ წვლილს მეთქი.

ასეთ ჩემს განმარტებაზე ზემოხსენებულმა კობიძემ მიპასუხა, რომ ვისაც ფულის გაღება არ სურს, ის მაშინაც ასე იტყვის,—ამ გზისა და სკოლის საქმეს რომ მოვკიდოთ ხელი, —ეს რა თქვენი საქმე არისო..

რა თქმა უნდა, ამ ყმაწვილის ასეთი პასუხი მე ვერ შეურაცხმყოფს, რადგან ჩემი წასული და აწმყო ცხადი საბუთია იმისი, თუ რა წვლილი შემიტანია მე ფართე საზოგადო საქმეში და არა მარტო ჩემი ეზოს, ან კუთხის სასარგებლოთ...

ვფიქრობ, რომ არც თქვენ მოიქცეოდით ცუდათ, თუ თავს დაანებებდით თქვენ კუთხურ, ეზოს დამამშვენებელ ქველმოქმედებას,—ისიც სხვების ანგარიშში,—და ისეთი ყმაწვილების მოციქულობით, რომლებმაც არ იციან რას ლაპარაკობენ, არ შეაწუხებდით ჩემს გარდა კიდევ სხვებს...

ჩემის მხრით მე ვსდებ ერთ ჩერვონეცს საჯავახო-ჩოხატაურის გზის და ჩოხატაურის ტეხნიკუმის შენობის შესაკეთებლათ, და მოუწოდებ მათ, ვისაც კი აინტერესებს მართლა საზოგადო და არა მარტო თავისი ეზოს საქმე,—შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ მიზნისთვის. რა თქმა უნდა, ეს ჩემი მოწოდება შეეხება ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებთ და მათ შორის ეწრელებსაც, რომლებსაც უხდებათ ამ გზით და სკოლით სარგებლობა.

იმედია, რომ შეიქმნება ადგილობრივ კამისია, რომელიც გაუძღვება მთელი რაიონისთვის ამ ფრიად საჭირო საქმეს.

ხიდ. თოდრია.

ტფილისი, 24 დეკემბ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ს. კ. პ. ტფ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ამხანაგებს, რომელთაც არა აქვთ ერთიანი პარტბილეთი, და აგრეთვე კანდიდატებს, რომელთაც არა აქვთ კანდიდატობის ბარათები, რეგისტრაციაში გაიარონ საალრიცხვო—სასტატისტიკო ქვე-განყოფილებაში 28 და 29 დეკემბერს, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ცხადდება, რომ ეს უკანასკნელი ვადაა რეგისტრაციისათვის.

პასუხისმგებელი მდივანი საცკევიჩი.

დღეს, 28 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე, მბეჭდავთა კლუბის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 39) მოხდება მბეჭდავთა კომუჯრედების

გაერთიანებული კრება.

სავალდებულოა დასწრება ყველა წევრისა და კანდიდატისა.

მბეჭდავთა გაერთიანებულ უჯრედების პასუხისმგებელი მდივანი

შახნაზაროვი.

ს. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ტფ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

მელქუმოვი ს. რემენიუკი მ., შიროკოვი ფ. საათსაზოვი გ, გარიევი ვ. გრიგორიანი გ. დუმბაძე ვ. ზარშენკოვი პ, ეჯუბოვი გ., სერგეევი გ., მათევოსიანი ნ., ავეტკოვი ე., რასულ-ზადე დ., ტატიანი ა., კანჯოიანი დ.,

მდივანი რუბენი.

ლენინის სახელობის, ტ. ს. პოლიტ. ინსტ. საინჟინერო ფაკულტეტის კომუჯრედისა და **კომ. ახალგ. კავშირის** უჯრედების გაერთიანებული კრება დანიშნულია პარასკევს 28 დეკემბერს, სალამოს 8 საათზე სახაზავ ოთახში.

დღის წესრიგში არის მოხსენება ამხ. ესსენისა.

სავალდებულოა დასწრება საინჟინერო ფაკულტეტზე მყოფ ყველა სტუდენტებისა, რომლებიც ირიცხებიან კომპარტიასა და ახალგაზრდობის კავშირში.

— კვირას, 30 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) საქ. კ. პ. ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს საერთო კრებაზე საქარ. პროლეტარულ მწერალთა საორგანიზაციო საკითხების შესახებ—ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს:

1. სილ. თოდრია, 2, რაჟდენ კალაძე, 3. სანდრო ეული, 4. ი. გედევანიშვილი, 5. პ. სამსონიძე, 6. ნ. ზომლეთელი, 7. პ. ქიქოძე, 8. შ. დუდუჩავა, 9. დ. დუმბაძე, 10. შ. რადიანი, 11. ალ. მაშაშვილი, 12 ვ. ლუარსამიძე, 13. ქ. მეგრელიძე, 14. მ. გოგიბერიძე, 15. ანაზარაძე, 16. აგრ. ბერიძე, 17. ს. ბერიძე, 18. იაკინთე ლისაშვილი, 19. ქ. ილოშვილი, 20. ი. შრომიშვილი, 21, პ. გიგოშვილი (Petrosa) 22. გ. ხეჩუაშვილი, 23. მ. ხრიალეთელი, 24. შ. ჯანბერიძე, 25. გრ. კალანდარიშვილი, 26. გოგიტო ციმბირელი, 27. ნიკო ინსარიძე, 28. ღ. კობახიძე, 29. გ. შინატეხელი. 30. სევასტი თალაკვაძე, 31. შაქრო ნავთლუღელი, 32. სიო ხიდისთაველი, 33. იონა ვაკელი.

ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს აგრეთვე, შემდეგ ამხანაგებს დაესწროს ზემოაღნიშნულ კრებას: 1. ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და მამია ორახელაშვილი.

საქ. საგ.—საპ. განყოფილების გამგე არტ. კვირიკაძე.

განცხადებები

26 დეკემბერს სალამოს 10 საათზე გარდაიცვალა

მარიამ ივანეს ასული

ჩილიაევისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის შვილები ალექსი და ივანე გიორგის ძენი, ქსენია გიორგის ასული, რძალი ეკატერინე გრიგოლის ასული და შვილიშვილი თამარა ჩილიაევები. პანაშვიდები ბინაზე, ტურგენევის ქ. № 5, პარასკევს 28-ს და შაბათს 29 დეკემბერს სალამოს 6 საათზე. გამოსვენება კვირას 30 დეკემბერს დილის 9 საათზე ნიკოლოზის ეკლესიაში ვერაზე, სადაც მოხდება დასაფლავება. 322 2—1

ამინდი ამიერკავკასიაში

26 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიით): ფოთში... 5 გრ., ბათომში... 6 გრ., სამტრედიაში.... 3 გრ., აჯამეთში... 5 გრ., ჭიათურაში 9 გრ., ბორჯომში... 5 გრ., სურამში... 8 გრ., ტფილისში... 1 გრ., ერევანში.... 0 გრ., ბაქოში... 5 გრ., (ქუთაისიდან, წიფიდან, მუკუზანიდან—ცნობები არ არის მიღებული).

ღრუბლიანობა: ბაქოში—საგრძნობი; მუხრანში—სულ უმნიშვნელო; დანარჩენ ჩვენ ადგილებში—სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის, ძლიერი. ბათომში—აღმოსავლეთის, ნელი. აჯამეთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ზომიერი, ბაქოში ჩრდილოეთის, ძლიერი. დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

ნალექი: უმნიშვნელო წვიმები ფოთში, ბათომში და სამტრედიაში. ერევანში 26 დეკ. ღამით მოვიდა თოვლიც.

ზღვის მდგომარეობა [illegible] ფოთში—[illegible]ში—ძლიერი, ბაქოში—მსუბუქი.

ამინდი საქართველოში:

დასავლეთ საქართველოში მოღრუბლულია, ალაგ-ალაგ ძლიერი ქარია, ზოგიერთ ადგილას წვიმს. აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი ღრუბლიანობა, ჰყინავს, ალაგ-ალაგ ნელი წვიმაც მოდის.

ჩრდილოეთ-კავკასიაში

26 დეკემბერი, დილის 7 საათი.

კავკავი: ტემპერატურა... 3 გრ. მოღრუბლულია, ქრის ჩრდილოეთ-დასავლეთის ნელი ქარი.

კიზლიარი: ტემპერატურა... [illegible] გრ., მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

27 დეკემბერი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 7 გრ.

ღრუბლიანობა: სულ მოღრუბლულია.

ქარის ქროლა: ჩრდილოეთის წყნარი.

პარასკევს, 28 დეკემბერს, სალამოს 4 საათზე წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია წლის თავის პანაშვიდი

ნატალია (ნატაშა) ანტონის ასული

სინაურიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა ანასტასია სინაურიძისა, ძმა ივანე სინაურიძე, დები ნინა და ოლღა სინაურიძეები, დისწული გულსუნდა და სიძე ალექსანდრე გაჩეჩილაძეები 323—1—1

რუსთაველის
თეატრი
ქართ. აკად. დრამა

შაბათს, 29 დეკემბერს
პროფკავშირების წევრთათვის
გმირი
კვირას, 30 დეკემბერს
ყაჩაღები

ნის. 806—3—3

სახელმწიფო
ოპერა

დღეს, 28 დეკემბერს
აიდა

ნის. 807—2—2

საჯარო ვაჭრობა

საქართველოს ს. ს. რ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

იწვევს მსურველთ მონაწილეობა მიიღონ

წერილობითი სავაჭრო შეჯიბრებაში,

რომელიც დანიშნულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საფინან**სო-სამეურნეო განყოფილების შენობაში,**—საპიორის ქუჩა № 30,—ჯან. სახ. კომისარიატის ტფილისის საავადმყოფოებისათვის პურის გამოცხობაზე, დღეში 25-დან 30 ფუთამდე, და შემდეგი ვადით: 1924 წლის 5 იანვრიდან ამავე წლის 5 ივლისამდე.

განცხადებები უნდა შეტანილ იქნეს დაბეჭდილ კონვერტებით ჯან სახ. კომ-ის საფინანსო-სამეურნეო განყოფილებაში. განმცხადებლებმა უნდა აღნიშნონ სხვადასხვა ხარისხის ფქვილის თითო ფუთზე გამომცხვარ პურის მეტი-წონის („პრიპიოკ"-ის) სიდიდე იმ პირობით, თუ პურის ცხობის მთელი ხარჯი კონტრ-აგენტებს დაევალება. განცხადებებს თან უნდა დაერთოს **ქვითარი ხაზინაში შეტანილ საწინდრისა, რომლის რაოდენობა უნდა უდრიდეს პირობაში აღნიშნულ თანხის 10 პროც.-ს,** ან უფროს ნოტარიუსის საგირაო მოწმობა დაგირავებულ ქონებაზე.

სავაჭრო შეჯიბრების დროს ჯან. სახ. კომ-ტი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებიც უფრო ხელსაყრელი იქნება ჯან. სახ. კომისარიატისთვის.

გარდა ამისა ჯან. სახალხო კომისარიატი უფლებას იტოვებს მოახდინოს 5 იანვარს დღის 1 საათზე განმეორებითი ზეპირი შეჯიბრება.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ჯან. სახ. კომ. საფინანსო-სამეურნეო განყოფილებაში ყოველდღე 1 საათიდან 3 საათამდე.

კრ. 802 3—1

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომ. იწვევს მსურველთ მონაწილეობა მიიღონ **წერილობით სავაჭრო შეჯიბრებაში,** რომელიც დანიშნულია 1924 **წლის 4 იანვრისათვის შუადღის 12 საათზე ჯან. სახალ. კომის** საფინან**სო-სამეურნეო განყოფილების შენობაში**

საპიორის ქ. № 30). შეჯიბრებაში მონაწილეთ ევალებათ ჯან. სახ. კ-ტის საავადმყოფოსთვის კარგად ნაკვები

ძროხის ხორცის

მიწოდება 13—14 ფუთი ყოველდღიურად 4 თვის განმავლობაში 1924 წლის 4 იანვრიდან ამავე წლის 4 მაისამდე. განცხადებები შეტანილ უნდა იქნას დაბეჭდილი კონვერტებით ჯანმრთ. სახ. კომ. საფინ. სამეურნეო განყოფილებაში. განცხადებებში აღნიშნული უნდა იქნეს ფუთი ხორცის ფასი ჩერვონეცის მანეთებით და თან უნდა ახლდეს ქვითარი ხაზინაში შეტანილ საწინდარისა, რომლის რაოდენობა უნდა უდრიდეს პირობაში აღნიშნული თანხის 10 პროცენტს ან ნოტარიუსის მოწმობა დაწინდრულ ქონების შესახებ. საჯარო შეჯიბრების დროს ჯან. სახ. კომ. იხელმძღვანელებს არა მარტო პირობაში აღნიშნული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებითაც, რომელიც უფრო ხელსაყრელი გამდება ჯან. სახ. კომისარ. ინტერესებისათვის. ამას გარდა ჯან. სახ. კომ. იტოვებს უფლებას 4 იანვარს პირველ საათზე მოახდინოს ზეპირი შეჯიბრება. დაწვრილებითი პირობები შეტყობა შეიძლება ყოველდღიურად ჯან. სახ. კომ. საფინანსო-სამეურნეო განყოფილებაში დღის პირველ საათიდან 3 საათამდე.

ნის. 801 3—3

პროფესორი გ. მუხაძე

დაბრუნდა და **განაახლა** ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—10

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და სალამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

303—25—4

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მე-5-ე ტეხნიკუმიდან თამარა გიორგის ასული სოხაძეს სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

320 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული გზათა სამაზრო მე-6 უბნის უფროსისაგან № 207 1922 წ. 24 აპრილის თარიღით, რაჟდენ ლალიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

319—1—1

დაიკარგა სიღარიბის მოწმობა მიღებული მე-12 კომისარიატიდან ნინა ცალქალამიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

321—1—1

„ზარია ვოსტოკა" სტამბა, [illegible] ქუჩა № 4